ნომერში:

სპეციალური ნომერი	3
გაეცალოს მეორე ევროპა	4-5
საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა მიუნხენში	5-6
ქართველ სტუდენტთა ევროპული კავშირი	7-10
„ქართული ფენომენი“	11-14
„Langfristig glücklich sind Georgier in Georgien“	15-17
თანამედროვე ევროპული სამედიცინო აპარატურით და გერმანული მეთოდებით საქართველოში	18-19
„ეს იყო დედისაგან ჩემი შობის შემდეგ ხელახალი შობა“	20-21
გერმანიის ქართული სათვისტომოს 2001 წლის საუკეთესო სტუდენტი	22-23
თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მიუნხენში	23-24
Konzerttournee der Tanz- und Singgruppe „Lomsia“	24-25
პირველი ქართული ტუნიკი მინი-ფეხბურთში	26-27
ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები ხორვატიაში	28-29
ქრისტეფორე კირკიტაძის გახსენება	30

წასვლისვერგასვლისდრო დადგა

ლაძე ეთმბორშზე

სალაძო ძოლის, თოვლიც თოვაში ძვეზავრი ყრჯულო,
ქავი ნაბადით და ყაბალახით.
ბინდა ამ ლაძეს ბინა ვიეშძნო და ვეჩყარჩყლო.

თოვში დაშსხლაშან, თოვლიც კაშის დაშბაისლეში,
და ვეიეზავნიან თეთრ ანგელოსებს.
ქეძოვეხვეეია ეთმბორშის ნისლი,
ჩვენ – ოცნება სიკაშთვლოზე.

ლეს ჩვენც ვიყავით ვაფასავით ძონადიშენი,
ეხლა კი ვყოფვაშთ ცის ქვეშ, კალოზე.
თუ სადმე ყვიშის ნაცყვიაში ძკეოლით იშეში,
ლძეშთო, დალოცე!

ძნვადი ინვებბა, ქესეეიან ცეცხლს ქაძფყრებბი,
ლვინით სავსე ძოლის ძათაშა,
ქთვაშეა, თოვლიც ვაცენილი ძშოხის ცყრებბი,
ცა კი – ჭაცაშა.

დასაძიშავად ვვეძყენებბა ყნაჭიშობბა
და ცანს ვვიძძიძებს ნაბადივით ლაძის ბენვებბი,
ვანქოშებბისას თითქოს ეყლი ფაშყლ ცოშოდა:
ქქვიდობით, ძძებბ, ვეშ დავვენეეით.

ბინდოშქი ვყოფვაშთ ქყხლქოჯშილი ძონადიშენი,
ხოხბის ბყდობბას ვადაბძახა ხადლაც ძაძალქა...
ლძეშთო, ყქვილე, თუ დაჯშილი სადმე იშეში
ლაძეს დაძალა!

ილო ძოსაქვილი

გაეროს მეორე რეზოლუცია

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მორიგი რეზოლუცია მიიღო, რომლის თანახმად რუსეთს კიდევ ერთხელ დაავალდებულეს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა დაბრუნების უზრუნველყოფა. ანალოგიური რეზოლუცია გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გასულ წელსაც მიიღო. თუმცა წელს ქართული მხარე თავს იმით იწონებს, რომ შანრაშანდელისგან განსხვავებით, რეზოლუციას წევრი სახელმწიფოებიდან მხარი შვიდით მეტმა დაუჭირა. მათ შორისაა ნაურუც, რომელმაც დე–ფაქტო რესპუბლიკების დამოუკიდებლობა აღიარა. მოწინააღმდეგე 13 ქვეყანას შორის კი სომხეთი და სერბეთიც აღმოჩნდა. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე დევნილთა დაბრუნებას მხარს არ უჭერენ. 57 ქვეყანა მოუწოდებს როგორც რეზოლუციის მოწინააღმდეგე 13 ქვეყნის, ასევე, იმ 74–ის მოქალაქეებსაც, რომელმაც ხმის მიცემისგან თავი შეიკავა, არ შეიძინონ უძრავი ქონება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

რა შედეგი შეიძლება მოუტანოს საქართველოს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულმა რეზოლუციამ თუნდაც იმ შემთხვევაში, რომ მომავალ წელს ყველა ქვეყანა საქართველოში დევნილთა დაბრუნებაზე თანხმობას აცხადებდეს? ექსპერტი კახა გოგოლაშვილი ამბობს, რომ გაეროს რეზოლუცია არავის არაფერს ავალდებულებს. „მე არ ვამბობ, რომ რეზოლუცია საკმარისია პრობლემის გადაჭრისთვის. მაგრამ როდესაც არსებობს დოკუმენტი დადგენილებით, რამდენია მომხრე და რამდენი წინააღმდეგე გარკვეული საკითხის მიმართ, ეს წარმოადგენს მტკიცებულებას მოპალარაკებების დროს, რათა ჩვენ უფრო მყარად ვიგრძნოთ თავი.“

„გაეროს მიერ რეზოლუციის მიღება საქართველოს შესახებ იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ტოვებს ამ საკითხს დღის წესრიგში. შარშანაც დაახლოებით იგივე ტიპის რეზოლუცია იქნა მიღებული, მხოლოდ 50 წევრი უჭერდა მხარს. ვითარდება ტენდენტია, როდესაც საქართველოს უფრო მეტი და მეტი მომხრე უჩნდება, რუსეთს კი სულ უფრო და უფრო უჭირს მხარდამჭერების მოძებნა. წელს მოწინააღმდეგე ქვეყნებს შორის არიან უმეტესწილად გარიყული და მარგინალური, დემოკრატიისარმქონედამინიმალური საერთაშორისო იმიჯის ქვეყნები. მართალია, მათ შორის არის სომხეთიც, მაგრამ სომხეთი არის პირდაპირ რუსული გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყანა ბევრი პრობლემით მეზობლებთან. წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით, სომხეთი რაღაცნაირად თავს ვალდებულად თვლის რუსეთს დაუჭიროს მხარი. ცოტა საკვირველი იყო სერბეთის დამოკიდებულება, რომელმაც რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა. ეს ცოტა გასაკვირია, რადგან ჩვენ, მაგალითად კოსოვო არ გვიღიარებია. ვფიქრობ, აქაც წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, შეიძლება რუსეთი რაღაცას დაპირდა სერბეთს, ან სულაც დაემუქრა, რომ აღიარებს კოსოვოს. უნდა ითქვას, რომ რუსეთს ახლა ისედაც აწყობს კოსოვოს აღიარება იმისთვის, რომ შეარბილოს დასავლეთის კრიტიკა მის მიმართ. ამიტომ სერბეთი მისთვის ადვილი მოსანადირებელი იქნებოდა. დანარჩენი ქვეყნები, რომლებიც წინააღმდეგი წავიდნენ, არ არიან დემოკრატიული სახელმწიფოები. თუმცა რასაკვირველია, ცალკე აღებული რეზოლუცია ვერაფერს მოგვცემს, ამ მიმართულებით რამდენიმე კუთხით, კომპლექსურად უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა. მნიშვნელოვანია, რომ არ შეწყდეს დიპლომატიური ძალისხმევა და ზეწოლა რუსეთზე საერთაშორისო ორგანიზაციების მხირდან. რეზოლუცია საერთოდ, უჩვენებს

საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს. რეზოლუცია რომ არ არსებობდეს, რუსეთს, შეეძლო ნებისმიერ ორმხრივ დიალოგში ამერიკის შეერთებულ შტატებთან, საფრანგეთთან ან ევროკავშირთან ეთქვა, რომ „საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი ამ საკითხებთან მიმართებაში იყოფა“. მაგრამ როდესაც არსებობს რეზოლუცია, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია უფრო თავდაჯერებულად დაუჭიროს მხარი საქართველოს,“– ამბობს კახა გოგოლაშვილი.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა რეზოლუცია ჟენევის მოლაპარაკებებს დაუკავშირა და განაცხადა, რომ ქართულ მხარეს სურს ის დიალოგი, რაც ჟენევაში უნდა იმართებოდეს სულ სხვა ფორმატში გადაიტანოს.

„თბილისს სურს დევნილთა თემის განხილვა პრაქტიკული შეთანხმებიდან პროპაგანდისტულ ფორმატში გადაიყვანოს. ასეთი საკითხები სჯობს, ჟენევაში განვიხილოთ. თანაც იქ ყველა მხარეს აქვს პოზიციის დაფიქსირების საშუალება განსხვავებით გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომისგან. თუ ქართველებს სურთ საკითხის განხილვა ასამბლეაზე გაგრძელდეს, მაშინ აქ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებიც უნდა მოვიწვიოთ, რომლებსაც აქ მოსასვლელად ვიზებზე ექმნებათ პრობლემები,“– განაცხადა ლავროვმა.

გაეროში საქართველოს მუდმივი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი კახა ლომაია ამბობს, რომ რეზოლუციის არასავალდებულობის მიუხედავად, ასეთი ხასიათის დოკუმენტები მაინც ცვლიან პოლიტიკურ ატმოსფეროს. „გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს არ აქვთ სავალდებულო ხასიათი, მაგრამ აქვთ ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია: ისინი პოლიტიკურ ატმოსფეროს ცვლიან ამა თუ იმ საკითხის მიმართ. საბოლოო ჯამში, შეუძლებელია საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს რუსეთმა ანგარიში არ გაუწიოს,“– ამბობს კახა ლომაია.

რეზოლუციის მიღებას მოჰყვა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ცხინვალის დე–ფაქტო ადმინისტრაციამ საქართველოს მხრიდან პროვოკაციის საფრთხე დაინახა. რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველი დევნილები საზღვრის გადაკვეთას აპირებდნენ. თუმცა ამგვარი ინციდენტი არ დაფიქსირებულა.

ნინო დალაქიშვილი

სათვისტომო

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა მიუნხენში

საქართველოს ისტორია სავსეა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის, შეზღუდვის, აღდგენის, მერე ვეღარ შენარჩუნების, ისევ დაკარგვის და ისევ დაბრუნების ფაქტებით. ასეთი ისტორიის მქონე ერს სადარდებელს და საზეიმოს რა გამოულევს. დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული თარიღების სიმრავლეც ამით აიხსნება. თუმცა, როგორც ჩვენმა უმეტესობამ კარგად იცის, საქართველო არც 1918 წლის 26 მაისს გამხდარა დამოუკიდებელი და მითუმეტეს 1991 წლის 26 მაისს არა. მისი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა სულ მცირე ორ ათეულ საუკუნეს ითვლის. ზემოთ ნახსენები და სხვა ბევრი თარიღი კი კიდევ ერთხელ აღდგენის, ან კიდევ ერთხელ აღდგენილის გამოცხადების დღეებია.

ასეა თუ ისე, 26 მაისის სიმბოლური დატვირთვა ძალიან დიდია და წლიდან წლამდე უფრო იზრდება. მას ხანდახან არასასურველი ასპექტიც ემატება. მაგალითად წელს, დამოუკიდებლობის არსებობაში საეჭვო ელემენტების შემჩნევის, თუ ქართულ სინამდვილეში გაჩენილი აქციების გამართვის დაუოკებელი სურვილის გამო, ეროვნულ დღესასწაულს ერის წუხილი და სირცხვილიც სდევდა თან. უხსოვარი დროიდან საქართველოში სადაო და პრობლემატური საკითხები მოლაპარაკებების მაგიდებთან (ძირითადად საჭმელ-სასმელით დატვირთულთან) წყდებოდა. ეს არც ჩვენს სინამდვილეშია იშვიათობა, თუმცა ბევრი დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე უპირატესობას მაინც ქუჩის აქციებს ანიჭებს.

გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ლერი დათაშვილი

ჩვენ, საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი ქართველები, მოლხენის და სუფრასთან შეხვედრის უფრო ძველ ტრადიციას ვაყენებთ პირველ ადგილზე და ეროვნული დღესასწაულების აღსანიშნავად, დაშლილ და დაუშლელ აქციებსაც, გაშლილი სუფრა გვირჩევნია.

ჩვენთვის ძალიან საყვარელი, საამაყო და ხშირად ასე სადაო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის (აღდგენის) დღე გერმანიის ქართულმა სათვისტომომ წელს 29 მაისს აღნიშნა. შეხვედრას მიუნხენსა და გერმანიის სხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველებთან ერთად, საქართველოს უცხოელი მეგობრებიც ესწრებოდნენ. კონცერტი არატრადიციულ, მაგრამ ბავარიაში მცხოვრები ქართველებისთვის ძალიან შინაურულ გარემოში გაიმართა. ბავარიულ ხედებს და კერძებს საუკეთესო ბავარიული ლუდიც უმშვენებდა გვერდს და ღმერთისაგან ასე დალოცვილი "ქართველების ერთად ყოფნა" ამ დღის არაჩვეულებრიობას კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს.

გერმანიაში მყოფ ქართველებს ეროვნული დღესასწაული გერმანიის ქართული სათვისტომოს თამჯდომარემ, ბატონმა ლერი დათაშვილმა მიულოცა. მან ასევე სათვისტომოს პროექტებსა და ბოლო წლების განმავლობაში მიღწეულ წარმატებებსა და შედეგებზეც ისაუბრა. წელს უკვე მეექვსედ გერმანიის ქართულმა სათვისტომომ წლის საუკეთესო ქართველი სტუდენტი გამოავლინა გერმანიაში და ფულადი ჯილდო გადასცა. მეორედ ამ ექვსი წლის განმავლობაში წლის საუკეთესო სტუდენტის წოდება ბილეფელდის უნივერსიტეტის სტუდენტმა მოიპოვა.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრას საპატიო სტუმართა შორის საჩხერისა და ჭიათურის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელი ესწრებოდა. მან უდიდესი სიყვარულით დალოცა საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი ქართველები და სამშობლოში მალე დაბრუნება უსურვა. განსაკუთრებით გულისამაჩუყებელი კი, გერმანიის ქართული სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარის, ბატონი ვახტანგ ჩხაიძის მიერ ქართლ-კახური საგალობლის „წმინდო ღმერთოს" ფონზე წაკითხული ვეფხისტყაოსანი იყო. მსმენელებს ცრემლი, ნოსტალგია და მშობლიური სითბო ერთად მოეძალათ, რამაც საღამოს განსაკუთრებული მუხტი შემატა. დამოუკიდებლობის აღდგენის დღე ქართველებს ჩერქეზების ინსტიტუტის წარმომადგენელმა მიუნხენში, ქალბატონმა იანვეს დიდანმაც მიულოცა. მან ასევე მოკლედ მიმოიხილა ჩერქეზთა და სხვა კავკასიელი ხალხების ვიზიტები, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებისა და კავკასიელი ერების სამომავლო გეგმების შესახებ მოლაპარაკებები, რომელიც საქართველოში 2011 წლის მაისის ბოლოს შედგა.

საზეიმო შეხვედრას მუსიკალურად გერმანიის ქართული სათვისტომოს სიმღერის და ცეკვის გუნდი „იბერისი" აფორმებდა. პროგრამა ქართული ფოლკლორის ორი დიდი შედევრით "მრავალჟამიერით" და "დაისით" დასრულდა. შეხვედრის მეორე ნაწილში გამართულ ვიქტორინაზე თექის ხელთნაკეთი ქართული მოტივებით დამშვენებული სუვენირები გათამაშდა.

მიუნხენურ ქართულ დღეებს კიდევ ერთი ლამაზი საღამო შეემატა, რის სიმბოლოდაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის და აღდგენილის შენარჩუნების სადღეგრძელოები ქართული ღვინის ნაცვლად ბავარიული ლუდით შეისვა.

თინათინ ჩითინაშვილი

26 მაისის აღნიშვნა მიუნხენში

ქართველ სტუდენტთა ევროპული კავშირის დაფუძნების კონგრესი გერმანიაში

2011 წლის 29 მაისს მიუნხენში კიდევ ერთი საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩატარდა. ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში დაფუძნებული თვითმმართველობითი ორგანიზაციის, ქართველ სტუდენტთა ევროპული კავშირის (ქსეკ) კონსოლიდაცია და მისი სამომავლო გეგმების შემუშავება მისმა დამფუძნებლებმა მიუნხენში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას დაამთხვიეს. შეხვედრას გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები სტუდენტები და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები ესწრებოდნენ. სამუშაო ჯგუფმა სამომავლო გეგმებთან ერთად, საქმიანობის სფეროები გადაანაწილა და ამ სფეროებში არსებული დეფიციტების ამოვსება დაისახა მიზნად.

ქსეკ-ი პირველ ნაბიჯებს ევროპის მასშტაბით ქართველ სტუდენტთა სოციალური ქსელის შექმნისაკენ გადადგამს, მიზანი კი, ქართველი სტუდენტებისათვის ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციაში ხელის შეწყობაა. კავშირის დამაარსებლები სოციალურად და პოლიტიკურად აქტიურ ქართველ სტუდენტებთან თანამშორმლობით განსაკუთრებულად არიან დაინტერესებულნი. ამასთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა სასტიპენდიო პროგრამების ჩამოყალიბებასა და ქართველ სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას მოახდენს სამეცნიერო-კვლევითი გარემოს შექმნასა და ევროპული და ქართული უნივერსიტეტების თანამშრომლობაზე. ქსეკ-ის დაარსებით პირველად საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ისტორიაში საფუძველი ჩაეყარა ქართველ სტუდენტთა ევროპის მასშტაბით კონსოლიდაციას. ამის შესახებ ორგანიზაციის დამფუძნებლები – ამირან გაბუნია და გურამ ჭანიშვილი გვესაუბრებიან დაწვრილებით:

ამირან გაბუნია: 2006 წელს დაამთავრა ბილეფელდის უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, 2006-07 წლებში სწავლობდა მადრიდის UCM-ის უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ხოლო 2007-2008 წლებში ბუენოს აირესის უნივერსიტეტში, პოლიტიკისა და ფილოსოფიის ფაკულტეტებზე. 2009 წელს დაამთავრა მაგისტრატურა ამერიკის შეერთებული შტატების ლათინური ამერიკის სწავლების სპეციალობით.

გურამ ჭანიშვილი: ნიურნბერგის უმაღლესი სასწავლებლის მანქანათმშენებლობის მეოთხე კურსის სტუდენტი.

გურამ ჭანიშვილი და ამირან გაბუნია

- ამირან, ვინ, როდის და რატომ ჩათვალა საჭიროდ ასეთი ორგანიზაციის დაარსება?

ამირანი: ეს იდეა დაგვებადა მე და გურამ ჭანიშვილს 2008 წლის აგვისტოში. მაშინ, როდესაც ომი დაიწყო და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ინტელექტუალებისგან იშვიათად თუ ისმოდა ხმები საქართველოს დასაცავად. მე მაშინ სასწავლებლად არგენტინაში მივდიოდი. თვითმფრინავში რომ ჩავჯექი, შემთხვევით საინფორმაციო გადაცემას შევხედე და ვნახე, როგორ ბომბავდნენ რუსეთის თვითმფრინავები ცხინვალის მიდამოებს. როგორც კი ბუენოს აირესში ჩავედი, მაშინვე ინტერნეტ ფორუმებში შევედი. ომის დაწყებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები ვრცელდებოდა. ადგილობრივი პრესაც გამუდმებით წერდა საქართველოში ომის შესახებ. შემთხვევით ფორუმში გამოქვეყნებული ტექსტებთან გაკეთებული კომენტარების მეშვეობით გავიცანი გურამი. ჩვენი დისკუსიების დროს წარმოიშვა ქართველ სტუდენტთა ევროპული კავშირის დაარსების იდეაც.

- ანუ, 2008 წლის ომმა განაპირობა ასეთი სახის ორგანიზაციის ჩამოყალიბება?
ამირანი: ომმა ეს პროცესი დააჩქარა, თორემ ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა უკვე მომწიფების სტადიაში იყო. 2008 წელსვე გავაკეთეთ EUGS (European Union of Georgian Students)-ის ვებ გვერდი, ორგანიზაციის სტრუქტურით და ფორმით. ამან საშუალება მოგვცა გერმანულ ენაზე გვეწერა ტექსტები და დაგვეფიქსირებინა ჩვენი დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს ომის მიმართ, რაც გერმანულენოვან ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ დროს. ასევე ვწერდით პრესის მიმოხილვას, სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ქართველი სტუდენტები საჯაროდ მოითხოვდნენ რუსეთის აგრესიის შეჩერებას. ეს უშედეგო ნამდვილად არ იყო. ზოგიერთი ტექსტი 8000 ჯერ იყო მონიშნული, როგორც ნანახი. ასე ნელ-ნელა დაიძრა ეს საქმე და 2011 წლის 29 მაისს გერმანიის ქართული სათვისტომოს ხელშეწყობით ორგანიზაციის კონსოლიდაციაც მოხდა.

- მაშინ რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი ქართველ სტუდენტთა ევროპული კავშირის დაარსებაში?
ამირანი: ზუსტად 20 წლის წინ, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, დაიწყო ქართველი სტუდენტების მასიური გასვლა საზღვარგარეთ, რაც ბევრ შემთხვევაში საქართველოში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით ქვეყნიდან ამ მიზეზით გასული სტუდენტებისთვის იყო (და არის) ძნელი უცხო ქვეყანაში სწავლის და ფინანსური თვალსაზრისით ყოველდღიური პრობლემების დაძლევა. ამის გამო ბევრმა ქართველმა სტუდენტმა სწავლაც შეწყვიტა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა იდეა ისეთი ორგანიზაციის დაარსებისა, რომელიც მიზნად დაისახავდა სტუდენტებისათვის მხარში ამოდგომას და მათთვის სტრატეგიის შემუშავებას, თუ როგორ შეიძლება არსებული პრობლემების მიუხედავად სტუდენტმა წარმატებით დაამთავროს სასწავლებელი. საქართველოს, სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისაგან განხსვავებით, არ გააჩნია არავითარი ემიგრაციის ისტორია, თუ არ გავითვალისწინებთ გარკვეულ გამონაკლისებს. ამიტომ არ არსებობს საზღვარგარეთ მყარად ფუნქციონირებადი ქართული ორგანიზაციებიც, რომლებიც ასეთ პირობებში ქართველ სტუდენტებს ხელს გაუწვდიან და თავიანთ თავზე საჭირო ფუნქციებს აიღებენ.

- და ამ კუთხით რას შეცვლის ქართველ სტუდენტთა ევროპული კავშირი?
ამირანი: დაახლოებით 10 წლის წინ გატარდა მთელი რიგი რეფორმები ევროპის განათლების სივცეში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბოლონიის პროცესი. 2005 წელს საქართველო გახდა ამ სფეროს სრულუფლებიანი წევრი. ნორვეგიაში, ქალაქ ბერგენში ინტერვიუც კი ჩამოვართვით საქართველოს მაშინდელ განათლების მინისტრს – ალექანდრე ლომაიას, ბოლონიის პროცესის სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. ბოლონიის პროცესმა კიდევ უფრო გაზარდა სტუდენტების გაცვლითი პროგრამების მეშვეობით საზღვარგარეთ გამოსვლა. სტუდენტთა მობილობასთან ერთად წამოიჭრა სხვა ახალი პრობლემებიც, რაც ამ სტუდენტთა სწავლის ხარისხის ამაღლებაში და ნაკლებად ფინანსურ პრობლემებში გამოიხატება. ქსეკ-ის მიზანია ამ სტუდენტებისათვის გარკვეული ბიძგის მიცემა, მაგალითად საუკეთესო ნაშრომების გამოვლინებით და დაჯილდოვებით. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ საქართველოში განათლების სისტემაში ჩატარებული რეფორმების შედეგად შეიქმნა ბაზა სტუდენტთა თვითმმართველური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის, ანუ მათი პროფესიონალიზებისათვის. ეს გულისმობს სტუდენტების საუნივერსიტეტო და უმაღლეს სასწავლებლის სტრუქტურაში აქტიურ ჩართვას, დემოკრატიული პრინციპების დანერგვას და ა. შ. ქსეკ-ი მოპოვებული ლეგიტიმაციის ნიადაგზე დაეხმარება მოცემულ სტუდენტურ თვითმმართველურ ორგანოს ამ მიზნების განხორციელებაში და თუ საჭირო იქნება დაიცავს მის ინტერესებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ამდენად ქსეკ-ის არსებობის საჭიროება, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ძალიან დიდია.

- საქმე, რომელიც თქვენ წამოიწყეთ, ძალიან კომპლექსურია და მისი კეთება დიდ გამოცდილებას მოითხოვს. რა გამოცდილებას ფლობთ ამ მხრივ?
ამირანი: წლების განმავლობაში ვიყავი გერმანიის საერთაშორისო სტუდენტთა გაერთიანების დავმჯდომარე და ვმუშაობდი ბილეფელდის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სხვადასხვა ორგანოებში, ისევე როგორც უნივერსიტეტის სენატში. ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებაც ევროპის ეტაბლირებული სტუდკავშირების მოდელზე გვინდა მოხდეს. ამ კუთხით საკმარის ინფორმაციას და გამოცდილებას ვფლობთ, და ზუსტად ვიცით რა დროს რა ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.

- შეგიძლია გააკეთო პრიორიტეტების მოკლე

ქართველ სტუდენტთა ევროპული კავშირის დაფუძნების კონგრესი

ჩამონათვალი, რასაც ქსეკ-ი მიზნად ისახავს უახლოესი მომავლისთვის?

ამირანი: უპირველესი მიზანი არის ევროპის მასშტაბით ქართველ სტუდენტთა სოციალური ქსელის შექმნა და მათი სოციალ-პოლიტიკური ინტერესების დაცვა ევროპაში და მის ცაკლეულ წევრ ქვეყანაში. ასევე, მათი განათლების ხარისხის ამაღლება და ამასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტური თვითთმართველური ორგანოების გამყარება, მათი აქტიურად ჩართვა საუნივერსიტეტო სტრუქტურაში და ინტეგრაცია (დაახლოება) ევროპის სხვა სტუდენტურ გაერთიანებებთან. ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტების საქართველოში დანერგვა და ხელის შეწყობა. საზღვარგარეთ კვალიფიცირებული ქართველი სტუდენტების და კადრების უკან დაბრუნების სტრატეგიის შემუშავება, მათთვის სათანადო პირობების შექმნა, ამასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება. საქართველოში სასტიპენტიო პროგრამების ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობა, ასევე ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ფონდებისა და სტიპენტიების შესახებ.

- წამოწყება და თქვენი ენთუზიაზმი არაჩეულებრივია, მაგრამ რა ძალებზე დაფუძნებით აპირებთ ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელებას?

გურამი: ვებ გვერდის გამოქვეყნებისთანავე სტუდენტების მხრიდან ამ იდეას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დაინტერესება დღითიდღე მატულობს. მალე უფრო მეტი აქტიური წევრი ჩაებმება ქსეკ-ის საქმიანობაში, რაც ჩვენი საქმიანობის ხარისხს და მასშტაბებს ბევრად გაზრდის.

ამირანი: ბოლო წლებში ევროპის სხვადასხვა სასწავლებლებში აქტიური ქართველი სტუდენტებისაგან მრავალჯერ გამოითქვა სურვილი ქართველ სტუდენტთა ერთიანი კავშირის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ამ საქმეში უკვე ჩართულ სტუდენტებთან ერთად მოხდება სხვა მოტივირებული სტუდენტების მოზიდვა ქსეკ-ში, რომლებიც ორგანიზაციის საქმიანობას წინ წაიყვანენ და ახალ სამუშაო ჩარჩოებს შექმნიან, რაც ქსეკ-ის მიზნების განხორციელებას შეუწყობს ხელს. პოზიტიური ძვრები ამ დროისთვის უკვე შეიმჩნევა. ასევე მოხდება სხვადასხვა ქართულ ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან კავშირი, სადაც პროექტების ფორმით სტუდენტები და სასწავლებელ დამთავრებულებიც ჩაერთვებიან ქსეკ-ის საქმიანობაში, რაც მათ საშუალებას მისცემს თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ სტუდენტებს და ამით პრობლემების გადაჭრა გაუადვილონ.

- რამდენად დიდია ქართველი სტუდენტების მზადყოფნა საზოგადოებრივ საწყისებზე მსგავს საქმიანობაში ჩაბმის?

გურამი: 2009 წლის ნოემბერში მე და ალექს პავლიაშვილმა რამდენიმე უნივერსიტეტში წარვადნიგეთ ეს პროექტი და გავაცანით ქართველ სტუდენტებს. როდესაც ორგანიზაცია ჩამოყალიბების საწყის ეტაპზეა დაინტერესება მის მიმართ ძალიან დიდი არაა. თუმცა, ამ კუთხით დამოკიდებულება ნელ-ნელა იცვლება და დღეისთვის უკვე ბევრი აქტიური წევრი გვყავს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უახლოს მომავალში კიდევ უფრო ძლიერ სამუშაო ჯგუფს შევქმით და ჩვენი საქმიანობაც უფრო ეფექტური გახდება.

- ანუ ქსეკ-ი არის სტუდენტებისაგან შემდგარი ორგანიზაცია სტუდენტებისთვის?

გურამი: არა, ქართველ სტუდენტთა ევროპულ კავშირში გაწევრიანება და საინტერესო სფეროს მოძებნა შეუძლია სხვადასხვა ასაკის და განათლების

მქონე ადამიანებს, როგორც მოსწავლეებს, რომლებიც გერმანიაში იმყოფებიან, ასევე აუ-პაირ პროგამით ჩამოსულ ახალგაზრდებს და მათაც, ვინც აქ პროფესიულ საქმიანობაშია ჩაბმული და სურს, თავისი გამოცდილებით და ცოდნით ქართველ სტუდენტებს გვერდში დაუდგეს, იქნება ეს ქართველი თუ არა ქართველი. ჩვენ უკვე შევქმენით საკონსულტაციო საბჭო, რომელიც სწორედ იმ ხალხით დაკომპლექტდება, რომელიც ქართველი სტუდენტებისათვის საჭირო გამოცდილებას ფლობს და მათ ინფორმაციით და საჭირო შემთხვევაში კონკრეტული რჩევებით უზრუნველყოფს. ამასთან ერთად ხელს შეუწყობს სხვადასხვა პროექტების და ღონისძიებების დაგეგმვას და ორგანიზებას.

- თქვენ ასევე საუბრობთ სტუდენტთა დაჯილდოვებაზე. როგორ აპირებთ ასეთი კონკურსების დაფინანსებას?

ამირანი: როგორც ავღნიშნე, სტუდენტთა დაჯილდოვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საუკეთესო ნაშრომების გამოვლენის გამო, არამედ მის ფუნქციაში, როგორც მოტივაციის წყარო. ამით უფრო მეტი სტუდენტები დაინტერესდება არა მარტო კონკურსში მონაწილეობის მიღებით, არამედ ჩვენს საქმიანობაში ჩართვითაც. მეორეს მხრივ, მოხდება საუკეთესო ნაშრომების პოლულარიზაციასა და სტუდენტთა მონაცემების გაუმჯობესება. ქსეკ-ი შეეცდება რაც შეიძლება მაღალ დონეზე გაუკეთოს ასეთ დაჯილდოვებას ორგანიზება. რა წყაროებიდან დაფინანსდებიან კონკურსში გამაჯვებულები, ამ კუთხით ინფორმაციას და კონტაქტებს ვიძიებთ და უფრო ზუსტად ახლო მომავალში გვეცოდინება.

- რას გულისმობთ ქართველი სტუდენტების სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების დაცვაში კონკრეტულად?

ამირანი: ჩვენი ნაბიჯები ამ მხრივ იქნება, ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც საჭირო მოგროვებულ ინფორმაციებთან ერთად, რაც ქსეკ-ის ვებ გვერდზე იქნება განლაგებული, კონსულტაციას გაუწევს ქართველ სტუდენტებს ფინანსური პრობლემების გადაჭრაში. სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების დაცვა ამასთანავე გამოიხატება მათი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოსვლაში, მათი სწავლების პროცესში საზღვარგარეთ ყოფნის დროს.

- ვინ არიან თქვენი მეგობარი ორგანიზაციები?

გურამი: საბერძნეთიდან გამოითქვა თანამშრომლობის სურვილი, ასევე გერმანული გაერთიანებებიც იჩენენ ინტერესს და უახლოეს მომავალში მათთან კონკრეტულ საკითხებზე ვაპირებთ საუბარს. ასევე გვინდა დავუკავშირდეთ, international office (ყოფილ Akademisches Auslansamt) და შევთავაზოდ ჩვენთან თანამშრომლობა. ამირანი: ვინაიდან ქსეკ-ი ახლახანს ჩამოყალიბდა როგორც ორგანიზაცია, ოფიციალური სამეგობრო განაცხადებები ჯერ არ არსებობს. პირველ რიგში მიზანი არის, რომ კონცენტრირება მოხდეს ქსეკ-ის საქმიანობის ოპტიმირებაში და შემდეგში კი ასეთი სამეგობრო განაცხადები ავტომატურად გაფორმდება.

- გაქვთ თუ არა კავშირი ქართულ ოფიციალურ სტრუქტურებთან და სტუდენტურ კავშირებთან? თუ კი, რა გამოხმაურება მოყვა ქსეკ-ის დაარსებას მათი მხრიდან?

გურამი: გამოხმაურება ჰქონდა დიასპორას საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან.

ამირანი: ასევე ცაკლეული სტუდენტების და საქართველოს თვითმმართველური ორგანიზაციების მხრიდანაც, რომელთაც ქსეკ-ის საქმიანობაში აქტიურად ჩაბმის სურვილი გამოთქვეს. დაინტერესება არის აგრეთვე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდანაც, სადაც ქსეკ-ის ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლობა ყალიბდება. ამდენად ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არსებობს.

მოამზადა
თინათინ ჩითინაშვილმა

ჩვენი ჟურნალი აგრძელებს ჟურნალისტთა ძალის გაფართოვებას და ელის ყველა დაინტერესებული პირის გამოხმაურებას საზოგადოებრივ საწყისებზე ჟურნალთან თანამშრომლობის კუთხით.

დაგვიკავშირდით:

qartuli@satvistomo.de

„ქართული ფენომენი"



3 მაისს ლეგენდარულ მოჭადრაკეს ნონა გაფრინდაშვილს 70 წელი შეუსრულდა. იგი ქ. ზუგდიდში დაიბადა და გაიზარდა ტერენტი გაფრინდაშვილის ოჯახში თავის 5 ძმასთან ერთად. ნონას მამა ტექნიკუმში ასწავლიდა საბუღალტრო საქმეს, დედა კი დიასახლისი იყო.

გოგონებს, როგორც წესი თოჯინებით თამაში უყვართ. ამ მხრივ ნონა გამონაკლისი იყო. ხუთი წლის ასაკში გაეცნო იგი ჭადრაკს, რომელიც ძალიან უყვარდა მის მამასა და ძმებს. და თოჯინები გადაავიწყდა...

„1953 წელს ბათუმში გაიმართა საქართველოს გუნდური ჩემპიონატი. გუნდში ერთი გოგო სჭირდებოდათ. იცოდნენ რა, რომ მე ჭადრაკს ვთამაშობდი, გუნდში მიმიწვიეს. ასე აღმოვჩნდი ბათუმში გუნდთან ერთად.

ჩემს ძმას თამაზს პირველ დაფაზე უნდა ეთამაშა, მაგრამ ბოლო მომენტში უარი თქვა, რადგან უმაღლესში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა. ჩემმა თამაშმა ცნობილი მწვრთნელის, ვახტანგ ქარსელაძის ყურადღება მიიპყრო და ოჯახს შეუთვალა ჩემი თბილისში გადმოყვანის შესახებ. ასე დაიწყო ჩემი საჭადრაკო მოღვაწეობა." - იგონებს ქალბატონი ნონა.

15 წლის ასაკში ნონა პირველად საქართველოს ჩემპიონი გახდა, მოიგო შესარჩევი ტურნირი და პირველად გავიდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალში. საბჭოთა სპორტულ გაზეთში მასზე ასეთი შარჟი გამოქვეყნდა: დავიწყებული თოჯინა გდია მაგიდის ქვეშ და მისი პატრონი კი მაგიდაზე ასულა და სულ სხვა „სათამაშოთი" -ჭადრაკითაა გართული. ეს იყო 1956 წელს.

1962 წელს ნონა პირველად მსოფლიო ჩემპიონი გახდა და შემდეგ კიდევ ოთხჯერ დაიცვა ეს ტიტული. მოგვიანებით მან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც მოიგო და საბოლოოდ 5-ჯერ მოიპოვა ჩემპიონის სახელი. ნონა გაფრინდაშვილი გახლავთ თერთმეტგზის ოლიმპიური ჩემპიონი, აქედან 10-ჯერ საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში, ხოლო 1992 წ. მან უკვე საქართველოს სახელით მოიპოვა პირველობა მილანში. ეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი გამოსვლა იყო ოლიმპიადაზე.

ნონა გაფრინდაშვილი ქალთა „ოსკარის" პირველი მფლობელი და პირველი საერთაშორისო დიდოსტატია ქალთა შორის და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პირველი საერთაშორისო დიდოსტატი ვაჟთა შორის. ნონა აგრეთვე არის ორგზის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი. მან აამაღლა ქალთა ჭადრაკის დონე და გამოიჩინა თავი, როგორც უნივერსალურმა მოჭადრაკემ. ნონა ერთნაირად ძლიერია როგორც ტაქტიკური გართულებების დროს, აგრეთვე პოზიციურ თამაშში. ცნობილი დიდოსტატი მ. ეივე ამბობდა, რომ გაფრინდაშვილი გაცილებით უფრო ძლიერი, მრავალმხრივი და ფართო შემოქმედებითი შესაძლებლობების მოჭადრაკეა ვიდრე ცნობილი ვერა მენჩიკი იყო.

ქართველი ქალები 29 წლის განმავლობაში ფლობდნენ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინს, მათ მოპოვებული აქვთ 36 ოლიმპიური ოქროს მედალი. ამ მოვლენას „ქართულ ფენომენს" უწოდებდნენ.

პაექრობა მამაკაცებთან

დაახლოებით 40 წლის წინ შვედეთის ჩემპიონმა ვაჟთა შორის გამოიწვია ნონა გაფრინდაშვილი საპაექროდ, დარწმუნებული იყო რა თავის ადვილ გამარჯვებაში. მან გაძლო 24-ე სვლამდე და შემდეგ ჩუმად, ისე, რომ ყველას არ გაეგონა გამოაცხადა დანებების შესახებ. რამდენიმე წუთში კი მოიკრიბა ძალები და ნონას გამარჯვება მიულოცა. ასეთი მილოცვები მას ბევრი ჰქონია თავის სიცოცხლეში.

1966 წელს ნონა ჩავიდა ბაქოში ამიერკავკასიის ვაჟთა ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, რომელშიც უძლიერესი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. მან საპატიოადგილი დაიკავა, მაგრამ პრიზიორი არ გამხდარა. ტურნირის დამთავრების შემდეგ ერთმა მონაწილემ ხუმრობით (ან იქნებ სერიოზულადაც) შენიშნა, რომ იმედგაცრუებულია მსოფლიო ჩემპიონის თამაშით, რომ იგი ჩვეულებრივი მამაკაცი ოსტატობის კანდიდატივით თამაშობს.

ნონამ არ მიიღო ეს ხუმრობა და ხუმრობის ავტორს შესთავაზა 10 ბლიც-პარტიისგან შემდგარი მატჩი ეთამაშათ. უარის თქმა მშიშრობად ჩაეთვლებოდა და მან მიიღო წინადადება. ტურნირის მონაწილეები მაგიდის გარშემო შეკრებილან ამ არაჩვეულებრივი მატჩის საყურებლად. ნონამ მატჩი დიდი ანგარიშით მოიგო, შერცხვენილმა მოწინააღმდეგემ დარბაზი ჩუმად დატოვა. ასე „სჯიდა" ნონა მათ ვინც ქედმაღლურად ექცეოდა ქალ მოჭადრაკეებს.

ბლიცის თავისებურება

ნონას მოსწონს მამაკაცებთან თამაში, თუმცა მისი თქმით, ეს ადვილი არ არის. იგი გრძნობს, რომ მამაკაცი მოთამაშეები ხშირად ვერ იგებენ მის „ქალურ" აზრთა მსვლელობას და მოსწონს მათი გაკვირვება მოულოდნელი სვლებით, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, არ აფუჭებენ მის პოზიციას. ნონა გაფრინდაშვილი ღირსეული მოწინააღმდეგე იყო მამაკაცებისათვის არა მარტო საჭადრაკო დაფასთან, არამედ ბილიარდის ან ჩოგბურთის მაგიდასთან.

ნონას განსაკუთრებულად უყვარდა და უყვარს ბლიცი. იგი იხსენებს გენიალურ და ნიჭიერ ინტელექტუალსა და იუმორით სავსე მოჭადრაკეს მიხეილ ტალს. „მოხდა ისე, რომ ჩვენ ზედიზედ ვთამაშობდით ჯერ ინგლისში და შემდეგ ისლანდიაში. ინგლისში სხვადასხვა ტურნირებში, ისლანდიაში კი ერთსა და იმავეში.

ისლანდიაში ტური იწყებოდა მხოლოდ საღამოს რვის ნახევარზე. წარმოგიდგენიათ, პარტიებს ვამთავრებდით ღამის ორის ნახევარზე. რა გვექნა? ორგანიზატორებს ასე აწყობდათ მაყურებელთა გამო. იქ იყვნენ საელჩოების თანამშრომლები, მათ შორის ორი ძალიან სათნო წყვილი. ისინი სულ ჩვენთან იყვნენ, გვგულშემატკივრობდნენ. მაგრამ ისლანდია დამამახსოვრდა უფრო მეტად იმით, რომ მე და ტალმა ვიშოვეთ ჭადრაკი და ჭადრაკის საათი და ყოველ დღე ბლიცს ვთამაშობდით.

ერთხელ მე მას ხუმრობით ვუთხარი: „მიშა, შენთან თამაში, ალბად, უკეთესია როდესაც ნასვამი ხარ". როგორც წესი, ნასვამ ადამიანთან თამაში უფრო ადვილია, მან კი მიპასუხა, რომ პირიქით იქნებოდა.

ინგლისში დასვენების დღეს მოვაწყეთ ბლიც-ტურნირი. ჩვენ ვიხდიდით შესატანს და ვიძენდით პრიზებს. ამ ტურნირში საათი არ იყო, ჩვენ ვთამაშობდით გონგით. როგორც კი გონგი გაიჟღერდა სვლა უნდა გაგვეკეთებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში წაგება გეთვლებოდა. ასე თამაში უფრო ძნელია ვიდრე საათით, შეგუება უნდა. მოხდა ისე, რომ ფინალში 5 ადამიანი გავიდა - თითო გამარჯვებული ყოველი ნახევარფინალიდან. ფინალის პირველივე ტურში მე შევხვდი ტალს და მოვუგე. მან გაწირა ფიგურა და მე დავიცავი პოზიცია. ამის მერე მე მოვიგე ყველა პარტია და პირველი ადგილი დავიკავე.

ძირითადად კი, ჩვენს მატჩებში იმარჯვებდა ტალი. მე წინააღმდეგობას ვუწევდი, ვიგებდი ზოგიერთ პარტიას, მაგრამ საერთო ანგარიში მის სასარგებლოდ იყო. ერთხელ მასთან მართლაც მომიხდა ბლიცის თამაში, როდესაც იგი ნასვამი იყო. ეს განუმეორებელი იყო! ნასვამი იგი თამაშობდა ბლიცს ისე, რომ ვერც მიუახლოვდებოდი! ამას მე ვერასოდეს დავივიწყებ, იმიტომ რომ მისი ჩვეულებრივი თამაში არაფერია იმასთან შედარებით, როგორც იგი თამაშობდა მაშინ. ბრწყინვალედ! ლამაზად!"

ნონა თვლის, რომ ჰგავს ტალს არა მხოლოდ ჭადრაკის თვალსაზრისით. ერთხელ იგი მიწვეული იყო ბაქოში სტუმრად სსრ კავშირის ჩემპიონატზე. იქ ერთმა მეცნიერმა ფსიქოლოგიური ტესტები ჩაუტარა მათ. ყველა მოჭადრაკეს ერთსა დ იმავე კითხვებს აძლევდნენ. აღმოჩნდა, რომ ნონასი და ტალის პასუხები 98% შემთხვევაში ემთხვევოდა ერთმანეთს.

„ხომ არ შეიძლება, რომ ერთი ადამიანი იყოს ყოველთვის პირველი"

1978 წელს ნონამ თავისი ტიტული მაია ჩიბურდანიძეს დაუთმო. ამ მატჩის შემდეგ ნონა დაშორდა თავის მწვრთნელ გიპსლისს და აგრძელებდა მუშაობას საკუთარ თავზე. მას ამაში ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი მოჭადრაკე ელიზბარ უბილავა

ეხმარებოდა.

ჩიბურდანიძესთან მატჩის წაგების მიზეზებს ნონა შემდეგნაირად აფასებს: შეიცვალა თამაშის რეპერტუარი, მწვრთნელი. ყველაფერთან ერთად მას მატჩის დაწყების წინ იღლიის ლიმფური ჯირკვლის ანთება დაემართა და მატჩის პირველ ნახევარში ტკივილისაგან გაბრუებული იყო. ჩიბურდანიძე წინ გავიდა. მატჩის მეორე ნახევარი ნონას უპირატესობით მიდიოდა. ერთ-ერთი პარტია გადაიდო ნონას უპირატესობით, მოგების იდეა მას უკვე მაშინვე ჰქონდა და გაუზიარა თავის მწვრთნელს გიპსლისს. მაგრამ გიპსლიმ იდეის გაანალიზების მაგივრად ჰოკეის მატჩის ყურება დაიწყო. მეორე დღეს კი უთხრა ნონას, რომ მას მოგების შანსი არა ჰქონდა და სვლის სხვა ვარიანტი შესთავაზა, რომლის შედეგადაც პარტია ფრედ დამთავრდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ნონას მიერ გიპსლისათვის შეთავაზებული სვლა ერთადერთი მომგებიანი იყო. „მატჩის მეორე ნახევარი მიდიოდა ჩემი უპირატესობით, მაგრამ შანსი ვერ გამოვიყენე.“ - იხსენებს ნონა, თუმცა იმით იწყნარებს თავს, რომ 16 წელი იყო მსოფლიო ჩემპიონი, რაც საკმაოდ დიდი დროა. ხომ არ შეიძლება, რომ ერთი ადამიანი იყოს ყოველთვის პირველიო.

მამაკაცის უპირატესობა ოფიციალურ ტურნირზე

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდში ნონა განსაკუთრებული წარმატებით გამოდიოდა ვაჟთა ტურნირებში. დედოფლის გვირგვინის დაკარგვის შემდეგაც იგი ისევ აქტიურად და წარმატებით მონაწილეობდა ტურნირებში.

1982 წელს მან მიიღო პირველი ქალთა „ოსკარი”, რომელიც ეძლეოდათ წლის შედეგების მიხედვით.

მიუხედავათ იმისა, რომ ნონას მრავალ ვაჟთა ტურნირში მიუღია მონაწილეობა და გამარჯვებაც მრავალჯერ მოუპოვებია იგი თვლის, რომ ქალები და ვაჟები ოფიციალურ ტურნირებში (მსოფლიოს, ევროპის შესარჩევ ტურნირებში და ა. შ.), სადაც დაძაბულობა პიკს აღწევს და მოჭადრაკისაგან სრულ კონცენტრაციას მოითხოვს, ცალკ–ცალკე უნდა თამაშობდნენ. ამის მიზეზი ისაა, რომ მამაკაც მოთამაშეებს მრავალი უპირატესობა აქვთ უკვე ტურნირის დაწყებამდე. ნონა აღნიშნავს: „პირველი ისაა, რომ მამაკაცები გენეტიკურად მებრძოლები არიან, მეორე ის, რომ ფიზიოლოგიური პროცესები ქალთა და მამაკაცთა ორგანიზმში ძალიან განსხვავებულია, რაც მამაკაცებს აგრეთვე უპირატესობას აძლევს. მესამეა - ნერვული სისტემა, ფსიქოლოგიური სტაბილობა უფრო მეტია მამაკაცებში. მეოთხე ის, რომ ქალის აქტიური მოჭადრაკეს ცხოვრება მთავრდება, როდესაც ის ქმნის ოჯახს, ან საუკეთესო შემთხვევაში, როდესაც მას ეყოლება შვილი. ამ მომენტიდან მას არასოდეს შეუძლია მთლიანად მიუძღვნას თავი ჭადრაკს.“

რიმა ბილუნოვა ნონას შეახებ

მოჭადრაკე რიმა ბილუნოვა ამბობს: „ნონა დიდი მოჭადრაკეა; მის გარეშე არ იქნებოდა არანაირი „ქართული ფენომენi”. მახსენდება სსრკ 1964 წლის ჩემპიონატი თბილისში, როდესაც იგი პირველად თამაშობდა თავის სახლში მსოფლიო ჩემპიონის რანგში. ინტერესი ჩემპიონატის მიმართ იყო არაჩვეულებრივი! ჩვენ ვთამაშობდით რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში, დიდში კი წარმოდგენები გრძელდებოდა. მაგრამ მალე მსახიობებს მოუხდათ ჩვენთან დარბაზის გაცვლა, იმიტომ რომ მათთან არავინ დადიოდა, ჩვენთან კი ანშლაგი იყო, ხალხი იჯდა საფეხურებზე გასასვლელებში. მე ასეთი რამ მეტი არსად მინახავს.

...1956 წელს პირველად ვეთამაშე ნონას. შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე შევხვდით ერთმანეთს. მე ძალიან ვამაყობ იმით, რომ ორი თამაში მასთან ფრედ დავასრულე. მახსოვს, გვიხსნიდნენ, „საქართველო ძალიან პატარა რესპუბლიკაა. ვის ეცოდინებოდა მის შესახებ რომ არა ჯუღაშვილი? სტალინის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს არსებობა ყველას გადაავიწყდა. სამაგიეროდ შემდეგ ნონა გაფრინდაშვილი გამოჩნდა და ყველა კვლავ ალაპარაკდა საქართველოზე!“

ნონა, რა თქმა უნდა, გადასარევი მოჭადრაკე და სპორტსმენია, მაგრამ გარდა ამისა, იგი არაჩვეულებრივი ადამიანია. ყოველთვის გაოცებული ვრჩებოდი, როდესაც ყველა შეჯიბრიდან იგი საჩუქრებით სავსე ჩემოდანს ეზიდებოდა. ერთხელ გავიკვირვე, მან კი მიპასუხა: „იცი რამდენი ძმისშვილი მყავსო?“.

მეამაყება რომ ნონას მეგობარი ვარ. ცოტა ხნის წინათ ერთად გახლდით მსოფლიო ჩემპიონატზე

სსრკ-ს ჩემპიონატი 1964 წელი

სენიორებს შორის. მეორე ტურში ნონამ თავის ძირითად კონკურენტთან ელენე ფატალიბეკოვასთან წააგო, რომელიც მასზე დაახლოებით 10 წლით უმცროსია. მე შევეცადე ნონა გამემხნევებინა, ჩემი წუხილი გამომეთქვა, მან კი მიპასუხა: „კარგი ერთი, ეგ არაფერია, წაგების შემდეგ მე ძალიან კარგად ვთამაშობო.“ მან მართლაც ყველა შემდგომი პატია მოიგო. მისი შემართება და მტკიცე ხასიათი არ შეცვლილა წლების მანძილზე.

ნონა არა მხოლოდ ტურნირებში თამაშობს, მას ასევე ხშირად იწვევენ სააპელაციო კომიტეტში საპატიო წევრად. რამდენიმე წლის წინ რუსეთის ჭადრაკის ფედერაციამ ორი ძალიან საინტერესო ტურნირი ჩაატარა კირა ზვორიკინას 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით. საიუბილეო ტურნირზე დავპატიჟეთ გაფრინაშვილი, ვოლპერტი და სხვა იმ დროის მოჭადრაკე, სულ რვა ადამიანი. ნონამ აქაც ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი.

ნონა ძალიან გამოირჩეოდა ყველასაგან. იგი ადვილად იკავებდა პირველ ადგილს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, ისე რომ ვერავინ ვერ უწევდა კონკურენციას. ნონა, როგორ იტყვიან, ბოლომდე ჭადრაკის ერთგულია. იგი ძალიან სამართლიანი და კეთილია. იგი ყველაზე დიდი მოჭადრაკეა, რომელსაც მე როდესმე შევხვედრივარ. საქართველოს ბევრი კარგი მოჭადრაკე ქალი ჰყავს და მე ვთვლი, რომ ნონას გარეშე ისინი არ იარსებებდნენ. ნონა მართლაც ბრწყინავდა, გვიჩვენებდა არაჩვეულებრივ მოგებებს ქალთა შორის, შემდეგ ეთამაშებოდა მამაკაცებს და მათ შორის გროსმაისტერის ტიტულიც კი მოიპოვა. ეს კოლოსალური მაგალითი იყო! მას ჰქონდა არაჩვეულებრივი მიღწევები, ბევრი მისი ნათამაშები პარტია იბეჭდებოდა „ინფორმატორში“, იგი იღებდა პრიზებს ლამაზი თამაშისთვის. როგორც მაშინ მცოდნეები ამბობდნენ, გაფრინდაშვილი თამაშობდა „კაცურ ჭადრაკს“.

სათქმელი კიდევ ბევრია...

ნონა სიამოვნებით იხსენებს 1977 წელს ამერიკის ქალაქ ლონ პაინში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირს, სადაც 48 მონაწილეს შორის ნონა ერთადერთი ქალბატონი იყო: „1977 წელს ლონ პაინის საერთაშორისო ტურნირში (რომელიც ითვლებოდა არაოფიციალურ აშშ-ს ჩემპიონატად), სადაც არა ერთი ვაჟი დიდოსტატი გამოდიოდა მე 1-4 ადგილი დავიკავე და, რაც მთავარია, შევასრულე „ვაჟი დიდოსტატის“ წოდება. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირი ჩემთვის პარტიების ხარისხის მიხედვით.“

***

„მახსენდება ჩემი პარტია იუგოსლაველ ვაჟ დიდოსტატ ველიმიროვიჩთან, რომელიც გაიმართა იუგოსლავიაში. პარტია იყო იმდენად საინტერესო, რომ ტურნირის მონაწილეებმა ტაშით დაგვაჯილდოვეს. პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ. ეს უნიკალური შემხვევა იყო.“

***

„ასევე დაუვიწყარია ჩემი შეხვედრა იუგოსლაველ მილუნკა ლაზარევიჩთან 1961 წელს იუგოსლავიაში პრეცენდენტთა ტურნირში. იქ შედგა ძალიან ლამაზი ფინალი, რომელსაც საქართველოში შეხვედრების დროს ბავშვები ათამაშებდნენ დიდ ჭადრაკზე.“

***

გასახსენებლი და მოსაყოლი თავისი ხანგრძლივი საჭადრაკო მოღვაწეობიდან ნონა გაფრინდაშვილს, რა თქმა უნდა, ბევრი აქვს. ამ ყველაფერს ერთი საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს...

ფეხბურთის ფანი

გარდა ჭადრაკისა, ნონას უყვარს ბილიარდი და მაგიდის ჩოგბურთი. ხუთი წლის ასაკიდან გატაცებულია ფეხბურთით და იცის ყველაფერი მის ირგვლივ. 1963 წელს, საქართველოში ჩემპიონატის გახსნისას, მას მისცეს უფლება პირველს დაერტყა ბურთისთვის. ფეხბურთის მატჩის ყურებისას, იგი მსაჯებისა და ტელეკომენტატორების ყველა შეცდომას ამჩნევს. მისი ერთადერთი გასვლა საზღვარგარეთ ტურისტის სახითაც სწორედ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს უკავშირდება, რომელიც 1966 წელს ინგლისში ტარდებოდა. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები როდესაც საფეხბურთო ბატალიები სტიმულს აძლევდა მის საჭადრაკო წარმატებებს.

აპლოდისმენტები

ჭადრაკში მიღწეული შედეგებისათვის დაჯილდოებულია ლენინის (1966 წ.), „ღირსების'' (1985 წ.) და „შრომითი წარჩინებისათვის“ (1965 წ.) ორდენებით. საჭადრაკო ოლიმპიადებზე თამაშდება მისი სახელობის თასი, რომელიც გადაეცემა ქვეყნის ვაჟთა და ქალთა გუნდებს საუკეთესო ჯამური შედეგისათვის.

ამა წლის აპრილში ნონამ კიდევ ერთი ტიტული მოიპოვა. ევროპის ჭადრაკის კავშირმა, იტალიის ჭადრაკის ფედერაციამ და Comite' Valdotain d'Echecs-მა მოაწყო ვეტერანთა მე-11 ჭადრაკის ჩემპიონატი იტალიაში. ჩემპიონატში 101 მოთამაშე მონაწილეობდა, ნათამაშები იყო 9 რაუნდზე მეტი შვედური სისტემის მიხედვით. ქალთა შორის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი ნონა გაფრინდაშვილმა მიიღო.

ნინო ხაბელაშვილი

„Langfristig glücklich sind Georgier in Georgien“

Interview mit Claus Hipp

Dr. Claus Hipp ist ein außergewöhnlicher Mensch. Er hat vielfältige Aufgaben und Interessen. Der 72-jährige promovierte Jurist ist in München geboren. Er führt eines der erfolgreichsten Unternehmen Deutschlands, ist Vorsitzender der Deutschen Wirtschaftsvereinigung Georgien, Ehrenpräsident der IHK München und Oberbayern, Ehrenpräsident der Deutsch-Russischen Außenhandelskammer, unterrichtet Betriebswirtschaft und Malerei in Tbilissi, malt und spielt Oboe. Seit 2008 ist er auch Honorarkonsul von Georgien für Bayern und Baden-Württemberg. Im Interview für unsere Zeitschrift erzählt er über seine Beziehungen zu Georgien.

- Herr Hipp, wann und wie sind Sie mit Georgien in Berührung gekommen?

- Meine erste Berührung mit Georgien war über die Familie Maghalashvili. Der Vater Maghalashvili war Arzt. Er ist in Bayern geblieben, hat hier geheiratet und am Chiemsee ein Hotel betrieben. Seine Söhne kannte ich vom Reitsport her. Damals wusste ich von Georgien noch gar nichts. Ich wusste nur, dass es das Land gibt. Der Vater Maghalashvili legte einen großen Wert darauf, dass Georgien nicht mit Russland verwechselt wird.

Dann mein erster persönlicher Kontakt war vor ca. 15 Jahren über Gia Kobulashvili, den Oboisten des Georgischen Kammerorchesters Ingolstadt, mit dem ich in einem Orchester zusammengespielt habe. Da hat er mich mal gefragt, ob ich ein Kinderheim in Georgien unterstützen könnte. Das habe ich gemacht und so kam ich nach Georgien. Dann hat die georgische Seite angefragt, ob ich eine Ausstellung zu meinen Arbeiten machen würde. Die eine Ausstellung war dann im Staatlichen Museum und eine andere in „Karvasla“ in Tbilissi. Dann hat die Akademie mich gefragt, ob ich bereit wäre, dort auch zu unterrichten. Ich habe zugesagt und seitdem unterrichte ich gegenstandslose Malerei und Lithographie. Ich habe jetzt auch eine Meisterklasse für Bühnenmalerei und Lithographie dort. Später bin ich von der Staatlichen Universität Tbilissi gefragt worden, ob ich da unterrichten würde, da ich hier in Ingolstadt Vorlesungen in Betriebswirtschaft halte, und das mache ich jetzt auch in Tbilissi.

Auch geschäftlich sind wir in Georgien aktiv geworden. Wir verkaufen unsere Produkte dort. In Agara bei Gori haben wir einen Betrieb für Äpfelverarbeitung übernommen, der von uns modernisiert wurde und jetzt nach allen EU-Vorschriften zertifiziert ist.

- Wie waren Ihre ersten Eindrücke von Georgien angesichts der schweren wirtschaftlichen Lage des Landes in den 90er Jahren?

- Als ich zum ersten Mal gekommen bin, war ich viele Jahre auch schon in Russland gewesen. Ich bin also nicht mit übertriebenen Erwartungen nach Georgien gekommen. Aber auch in den schlimmen Zeiten war die Natur schön, die Berge waren gleich hoch und die Gastfreundschaft der Menschen war auch da. Beeindruckend war vor Allem der hohe Bildungsstand der Bevölkerung, ihre kulturellen Interessen. Und beim Stadtbild hat man auch im Zustand der Zerstörung und des Verfalls einen Eindruck bekommen, wie

wunderschön es einmal gewesen sein musste.

Wenn wir heute schauen, dann sehen wir, wie schön es wieder wird und wie viel in den letzten Jahren gerichtet worden ist. Da sieht man einen ganz großen Unterschied zwischen heute und früher. Vor allem ist es eine Beruhigung zu sehen, dass so etwas möglich ist. Sicher gibt es in Georgien noch Vieles, was noch besser werden kann, aber was da passiert ist, ist ganz enorm. Wegen dieses großen Fortschritts darf man nicht verkennen, dass es eine große Leistung war, dies zu tun, wenn auch Manches jetzt noch nicht so ideal ist. Auch im Westen ist vieles nicht ideal.

- Nach der Wende sind schon zwei Jahrzehnte vergangen. Warum dauert der Wiederaufbau in Georgien so lang? Nach dem Zweiten Weltkrieg ging es in Deutschland doch viel schneller aufwärts.

- Nach dem Krieg hat Deutschland eine gute Hilfe bekommen und Deutschland hatte ja nicht ein kommunistisches Regime gehabt. Deutschland hat ein Terror-Regime im Nationalsozialismus gehabt, das sicher schrecklich war. Aber die Chance, wirtschaftlich aufzubauen, Erfolg zu haben, konnte von vielen ergriffen werden, weil es eine Chance war, die viele verstanden haben. Und in Georgien hat es viele Jahrzehnte Enttäuschung und Ausbeutung gegeben. Dort war es schon schwieriger, Mut zu haben anzufangen, Hoffnung zu haben, um es umzusetzen. Jetzt sieht man, dass so etwas möglich ist und wir haben jetzt in Georgien einen unglaublichen Aufschwung. In wenigen Jahren wurde so viel aufgeholt. Das Vertrauen, dass sich die Leistung lohnt, ist eine ganz große Voraussetzung beim Aufbau eines Landes. Und das Vertrauen musste wieder hergestellt werden. Vertrauen wächst in dem Maß, in dem es geschenkt wird. Und die junge Regierung hat mehr Vertrauen geschenkt, als die früheren Regierungen, die sich immer nur als Kontrolle verstanden haben. Weiteres Problem ist sicher eine zu lange Zeit von Planwirtschaft, die eben die alle Initiativen abgetötet hatte. Es muss sich in den Köpfen der Menschen festsetzen, dass es sich lohnt, dass nicht nur das Land, sondern auch jeder Einzelne einen Vorteil hat. Das sind die Grundprinzipien der sozialen Marktwirtschaft. Einerseits, persönliche Leistung, dann der Wettbewerb – den Wettbewerb kennen wir in der Planwirtschaft nicht in dem Maß – und dazu kommt die soziale Komponente. Wir haben noch große Armut und viele Benachteiligte in Georgien, aber erst muss es einen wirtschaftlichen Aufschwung geben, damit das Geld wieder da ist und man es verteilen kann. Wenn man nichts zum Verteilen hat, dann geht es nicht vorwärts.

- Was bedeutet heute Georgien für Sie?

- Ich fühle mich als Teil Georgiens, und ich fühle mich auch verantwortlich mitzuhelfen, soweit es in meiner Möglichkeit steht.

Es gibt schöne alte Verbindungen zwischen Bayern und Georgien. Es ist interessant, zu sehen, wie lang die Tradition schon da ist. Wenn wir in die Geschichte der Bergsteiger nachgehen, Shkhara und Ushba sind das erste Mal 1900 bis 1905 von Münchener Bergsteigern bestiegen worden; Wir können noch weiter zurückgehen. Es gab im 19. Jahrhundert einen Münchener Schlachtenmaler Theodor Horschelt (1829 – 1871). Er hat russische Kaukasus-Kriegszüge im 19. Jahrhundert in seinen Tagebüchern und mit Zeichnungen beschrieben und dabei 8 Jahre in Georgien verbracht; Es geht natürlich weiter zurück. Es sind auch die Kreuzfahrer aus unserer Gegend die in Georgien mitgekämpft haben.

Das ist sicher ein Vorteil Georgiens, dass es mit unserer Kultur zusammenhängt, dass wir gemeinsame Wurzeln haben. Und das Wasser der bayerischen Flüsse geht ins Schwarze Meer. Es gab Zeit, als die Teile Bayerns und auch Teile Georgiens zum Römischen Reich gehört haben. Wir haben große griechische Geschichte, die unsere abendländische Kultur geprägt und auch Georgien war von Griechen sehr beeinflusst gewesen. Auch das Christentum verbindet unsere Länder. Georgien ist Teil Europas, das darf man auch nicht vergessen. Zu nennen ist auch die Seidenstraße, die Handelswege von den westlichen Ländern zu den Östlichen verbunden hat.

- Welche Funktionen und Aufgaben hat das Georgische Honorarkonsulat in München und Sie als Honorarkonsul von Georgien für Bayern und Baden-Württemberg?

- Als Honorarkonsul vertrete ich ehrenamtlich die Interessen der georgischen Bürger. Ich mache Kontakte zu Wirtschaft, Politik, Medien und wir haben am bestmöglichen Platz in München die georgische Fahne wehen. Das ist auch ganz wichtig, dass die Bevölkerung hier sieht, dass es ein wichtiges

Land ist. Wir geben Zeugnis ab und wir erklären auch manche Ereignisse, weil die Berichterstattung in Deutschland oft einseitig ist. Es gibt Vieles, was richtig dargestellt werden sollte. Wenn es glaubwürdig geschieht, dann hat es auch Wirkung.

Wir haben viele Hilfssuchende, die bei uns anrufen. Bei uns kriegt jeder eine Antwort, mit jedem wird gesprochen, jedem wird geholfen, soweit es möglich ist. Darum haben wir das Konsulat auch mit einer Georgierin - Frau Phatima Kublashvili besetzt, die lang genug in Deutschland lebt und daher die Hilfssuchenden gut verstehen und beraten kann.

- Was müssen Georgier in Deutschland über das Konsulat in München wissen?

- Die Georgier müssen wissen, dass sie im Konsulat immer anrufen können und immer eine Auskunft bekommen. In Berlin gibt es die georgische Botschaft. Die Botschaft ist mit Gabriela von Habsburg besetzt, die eine sehr tüchtige und kämpferische Botschafterin ist, übrigens, auch Professorin an der Kunstakademie in Tbilissi. Sie ist die politische Vertretung. Zur Botschaft in Berlin gibt es auch ein Konsulat, das sich mit Passangelegenheiten beschäftigt und die Verwaltung macht. Das Konsulat in München ist etwas wie ein „verlängerter Arm“ von Berlin. In München können wir auch raten und für Georgien sprechen, aber die Verwaltungssachen werden in Berlin gemacht.

- Erzählen Sie uns bitte über Ihre Projekte an der Staatlichen Kunstakademie Tbilissi.

- Jedes Semester nehme ich meine Studenten nach Deutschland mit, damit sie hier praktische Erfahrungen sammeln können. Momentan machen wir das Bühnenbild für die Oper „Aida“, die auf dem Opernfestival Gut Immling läuft. Wir haben schon eine sehr gute Kritik dafür bekommen, was uns sehr erfreut. Im letzten Jahr haben wir das Bühnenbild für „Den Fliegenden Holländer“ gemacht, das Jahr davor – „Macbeth“. Und nächstes Jahr werden wir uns mit „Dem Troubadour“ beschäftigen. Die Studenten sind bei der Durchführung immer auch dabei. Sie sind dann etliche Wochen hier, wohnen bei mir und ich kümmere mich um sie. Zurzeit betreue ich zwei Masterstudentinnen, die sich im Rahmen ihrer Masterarbeiten vorgenommen haben, alltäglich tragbare georgische Trachten zu entwickeln. Es gibt natürlich schon georgische Tracht zu kaufen, die man aber nur zu festlichen Anlässen anziehen kann. In Bayern und Österreich haben wir Trachtenkleider, die wir auch im Alltag tragen. Warum kann es nicht auch in Georgien – im Land der Traditionen so etwas geben?

Es ist mein Anliegen, dass wir Wege finden, wie wir unsere Akademieabsolventen auch in ihrem Traumberuf bekommen. Denn so viele Künstler werden nicht an tägliches Brot finden können. Aber das kreative Denken ist sehr wichtig, auch in anderen Berufen brauchen wir Menschen, die Ideen haben und diese umsetzen. Deshalb müssen wir im Masterstudium dann vielleicht noch auch wirtschafts- oder medienbezogene Fächer vermitteln.

- Was würden Sie jungen Georgiern raten, die in Deutschland studieren bzw. arbeiten?

- Jungen Georgiern rate ich auf jeden Fall, Sprachen zu lernen und ihr Leben so zu planen, dass sie in ihre Heimat zurückkehren und dort Karriere machen. Für eine gewisse Zeit ins Ausland gehen und Erfahrungen sammeln ist wichtig, aber dann sollten sie immer schauen, wie sie ihrem Land dienen können. Ich habe junge Georgier schon bei mir im Unternehmen zur Ausbildung gehabt. Das Beste war für sie immer nicht hier bleiben zu müssen, sondern irgendwann mal wieder nach Georgien zu gehen und für die Heimat was tun zu können. Das halte ich für ganz wichtig. Im Ausland wird auch nichts geschenkt, es ist nicht besser im Ausland. Die Heimat ist ein ganz großer Wert. Die jungen Georgier sollen sich für ihre Heimat wertvoll machen. Langfristig glücklich sind Georgier in Georgien.

Kontaktdaten des Konsulats:

Georgisches Honorarkonsulat
Lenbachplatz 1, 3. OG
80333 München

Tel.: 089 517 02984
Mobil: 0163 757 77 18
E-Mail: geo.hk@claus.hipp.de

Vorbereitet von Merab Kutsia

თანამედროვე ევროპული სამედიცინო აპარატურით და გერმანული მეთოდებით საქართველოში

ინტერვიუ ექიმ გიორგი ჭუმბურიძესთან

ჩვენი ჟურნალის სტუმარი, გერმანიის ქალაქ ჰაგენის საავადმყოფოს ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის კლინიკის ექიმი-ქირურგი გიორგი ჭუმბურიძეა. იგი გერმანიაში 2002 წელს ჩამოვიდა, სხვადასხვა საავადმყოფოებში ჰოსპიტალიზაცია გაიარა, 2004 წელს კი უკვე ექიმად დაიწყო მუშაობა. ამ დროის განმავლობაში მან 2.500 ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, აქედან 600-ში ოპერატორის ამპლუაში. გიორგი ძირითადად მენჯ-ბარძაყის და მუხლის სახსრის ენდოპროტეზირებაზე მუშაობს. მისი სურვილი ყოველთვის იყო თავისი ცოდნითა და გამოცდილებით თავისი ხალხისათვის მოეტანა სიკეთე. დღეს გიორგი საინტერესო პროექტზე გვესაუბრება, რომელსაც იგი თავის კოლეგებთან ერთად საქართველოში ახორციელებს.

"ჩემი იდეა იყო საქართველოში თანამედროვე ევროპული სამედიცინო აპარატურის და მეთოდების გამოყენებით ჩამეტარებინა ოპერაციები. იგი ჩემს ხელმძღვანელს, ჰელმუტ ქუეკენშტედტს გავაცანი და საქართველოში ჩამოსვლა და ქართველ კოლეგებთან ერთად ოპერაციების ჩატარება შევთავაზე. დავუკავშირდით გერმანულ ფირმა aesculaps, რომელიც ამზადებს ენდოპროტეზებს და მათი მხარდაჭერაც მოვიპოვეთ.

შემდეგ ეს ინიციატივა სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორს, ბატონ დავით ფერაძესაც გავუზიარე და საკმაოდ კარგი პროექტი გამოგვივიდა. 2011 წლის იანვარში პირველი ოპერაციები ჩავატარეთ.

მეორე ჩასვლაზე, აპრილში, ბატონ ფრიდონ თოდუას დავუკავშიდით და მის სამედიცინო ცენტრში ჩავატარეთ ოთხი ოპერაცია, შემდეგ მაისში სამედიცინო ცენტრ "იუნონაში" (კლინიკის დირექტორი მერაბ ტატიშვილი) 6 ოპერაცია გავაკეთეთ. ასევე ორი ოპერაცია ჩავატერეთ კლინიკა "სამგოიმედში" (კლინიკის მთავარი ექიმი ნოდარ ძოწენიძე).

რაც აქეთ ჩამოვედი სულ იმაზე ვოცნებობდი, რომ როდესაც გამოცდილებას მივიღებდი, ჩემი ცოდნა ჩემი ქვეყნისთვის მომეხმარებინა. საბოლოოდ საქართველოში დაბრუნება და იქ მოღვაწეობა მაქვს გადაწყვეტილი, მანამდე კი ეს გზა მოვძებნე - წელიწადში სამჯერ მაინც ჩავიდე და ჩავატარო ოპერაციები. შეძლებისდაგვარად ჩამოვა ჩემი ხელმძღვანელიც.

- რამდენად მონაწილეობენ ქართველი ექიმები თქვენს პროგრამაში?

- საქართველოში ჩვენთან ერთად მუშაობენ ორთოპედები ზურა ავაზაშვილი და კობა დიასამიძე. ისე კი, თუ სხვა კოლეგებს აინტერესებთ რაიმე ინფორმაციის მიღება თუ გამოცდილების გაცვლა-გაზიარება, ყველასთან სიამოვნებით ვითანამშრომლებთ.

აქ, გერმანიაში, კიდევ ერთი ქართველი მუშაობს - თემურ უზნაძე. ისიც ორთოპედი-ტრავმატოლოგი გახლავთ. შემდეგი ეტაპიდან, რომელსაც შემოდგომაზე გავაგრძელებთ თემურიც ჩაერთვება ამ პროგრამაში და გერმანიის მხრიდან უკვე ორი ქართველი ექიმი ვიქნებით.

- კონკრეტულად რა სახის ოპერაციებს ატარებთ?

- ჯერ-ჯერობით მარტო მენჯ-ბარძაყის და მუხლის სახსრის ენდოპროტეზირებას ვაკეთებთ. პროექტის წარმატებით განვითარების შემთხვევაში ოპერაციების სპექტრის გაზრდასაც ვფიქრობთ.

- მსგავი ოპერაციები საქართველოში არ

ტარდება?
- რა თქმა უნდა ესეთი ოპერაციები ტარდება საქართველოში უკვე დიდი ხანია და საკმაოდ წარმატებითაც. განსხვავება ის არის, რომ ჩვენ ჩავიტანეთ და ოპერაციებს ვატარებთ ORTHO-PILOT-ის დახმარებით. ეს არის კომპიუტერული სისტემა, რომელიც ოპერაციის დროს დიდ დახმარებას უწევს ქირურგს, რათა ზუსტად გაზომოს პაციენტის ანატომიური მონაცემები, ზუსტად გააკეთოს ძვლის კვეთა, შეინარჩუნოს იოგოვანი აპარატის ხარისხი და ა.შ.

- თქვენს მიერ ჩატარებული ოპერაციები შემდგომ რეაბილიტაციას თუ ითვალისწინებს და არის თუ არა ამის პირობები საქართველოში?
- ნებისმიერი ორთოპედული ოპერაცია აუცილებლად ითვალისწინებს პოსტოპერატიულ სარეაბილიტაციო პერიოდს. მაგალითად, აქ გერმანიაში, ნაოპერაციებ პაციენტებს შემდეგ სარეაბილიტაციო კლინიკაში ვაგზავნით, სადაც 2-3 კვირის განმავლობაში იმყოფებიან. ეს ძალიან უადვილებს მათ პოსტოპერატიულ პერიოდს. სამწუხაროდ საქართველოში მსგავსი კლინიკები არ არსებობს. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს პროექტის წარმატებისშემთხვევაშიმომავალშიგერმანელებთან ერთად ასეთი ცენტრის მოწყობაც.
მანამდე კი, ჩვენს მიერ ნაოპერაციები პატიენტები ჩვენგან მიიღებენ რჩევა-დარიგებას, თუ რა პროცედურები დასჭირდებათ სარეაბილიტაციო

ჰელმუტ ქუეკენშტედტი და გიორგი ჭუმბურიძე

პერიოდში. ახლა თან მიმაქვს აგრეთვე სპეციალური სავარჯიშო აპარატი, რომელსაც ნაოპერაციები პატიენტები გამოიყენებენ სახსრის მოძრაობის გასაუმჯობესებლად.

- რამდენჯერ იყავით უკვე საქართველოში და რამდენი ოპერაცია ჩაატარეთ?
- ორჯერ ვიყავით უკვე და გავაკეთეთ ოცი ოპერაცია, პირველად იანვარში რვა, და მეორედ აპრილი-მაისში თორმეტი.

- თქვენი შემდეგი ვიზიტი როდისთვისაა დაგეგმილი?
- შემოდგომაზე, ოქტომბრის ბოლოს.

- როგორ ხდება თქვენს პროგრამაში მოხვედრა? ნებისმიერ მსურველს შეუძლია საოპერაციოდ მოსვლა?
- ამ პროგრამაში ნებისმიერს შეუძლია მოხვედრა. მსურველებს შეუძლიათ პირადად ჩემთან დაკავშირება შემდეგ მაილზე:
dr.chumburidze@yahoo.de

- რა ღირს მსგავსი ოპერაცია პაციენტისათვის?
- რადგანაც თვითონ პროტეზები ძალიან ძვირია, ოპერაციები უფასოდ ვერ ჩატარდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩვენ ფირმა აესცულაპი პროტეზებს შეღავათიან ფასებში გვაწვდის. ექიმების თანხა კი სიმბოლურა, რაც დაახლოებით ჩვენი მგზავრობის ხარჯებს ფარავს მარტო.
მსგავსი ოპერაციები გერმანიაში 7.000-დან 11.000-ევრომდე ღირს, ჩვენ ხალხს იგივეს ვთავაზობთ – გერმანულ გამოცდილებას, გერმანულ ტექნიკას და გერმანულ ენდოპროტეზებს, ოღონდ ნახევარ ფასში და იქვე ადგილზე.

- უფრო კონკრეტულად?
- უფრო კონკრეტულად კი, საქართველოში ოპერაციები 3.500 ლარიდან 7.000 ლარამდე ჯდება, გააჩნია ოპერაციის სირთულეს. ბევრ პაციენტს საქართველოში ამ თანხას სადაზღვევო კომპანია უნაზღაურებს.

ნ. ხაბელაშვილი

ეს იყო დედისგან ჩემი შობის შემდეგ ხელახალი შობა...

თამარ ფრიდონიშვილი

მას მეგობრები ფრიდას ეძახიან. მას არ უყვარს საზღვრები და დოგმები...

12 მაისს მიუნხენში, ბავარიის კათოლიკურ აკადემიაში გაიმართა მიუნხენის მხატვრული ხელოვნების აკადემიის სტუდენტების გამოფენა. მათ შორის იყო თამარ ფრიდონიშვილის ნამუშევარი. ამ დღეს გამოფენილი მისი ნამუშევარი რელიგიურ თემაზე შექმნილი „მაკოცე“ („Küss mich“) წარმოადგენდა ანალოღიას, რომელზეც მოთავსებული სარკე (ხატის იმიტაცია) ირეკლავდა ჭერში დაკიდულ ოვერიის ღვთისმშობლის ხატს. მისი დანახვა ხდებოდა შესაძლებელი ანალოღიასთან მიახლოებისას და ამასთანავე საკუთარი თავის დანახვაც ქმნიდა ეფექტს, თითქოს ერთგვარად საკუთარ ეგოსთან კონფრონტაციის საშუალებას არ გაძლევდა.

ამ საინტერესო გამოფენის შემდეგ გადავწყვიტე გავსაუბრებოდი თამარს.

- თამარ, რითი დაიწყებდი მოყოლას?

- დავიბადე 1980 წელს თბილისში. სამ წლამდე თითქმის ხმას არ ვიღებდი და დედაჩემი ლამის საგონებელში ჩავაგდე. შემდგომში აღმოვაჩინე, რომ ჩემი სასაუბრო ენა და კომუნიკაციის საშუალება გარესამყაროსთან არის ჩემი შემოქმედება.

- ყველაფერი, ალბათ, მაინც ბავშვობაში იწყება.

- რა თქმა უნდა, ბაღიდანვე კარგად ვხატავდი, ვკერავდი და ვქსოვდი. ყველაფერს თვითონ დავეუფლე, უფროსების ყოველგვარი ჩარევის გარეშე, დედა ამის ჩემთვის სწავლებას უბრალოდ ვერ ახერხებდა. სახლში მოსულ სტუმრებს თუ გავუმხელდი, რომ ჩემი თოჯინების ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ჩემი შეკერილი და მოქსოვილი იყო, ირონიულად მიქნევდნენ თავს, თითქოს არ სჯეროდათ. სკოლის დამთავრების ბოლო წლებში დედა გამომიტყდა, რომ დაწყებით კლასებში ხატვის მასწავლებელი გამუდმებით იბარებდა და სთხოვდა, ჩემი ნიჭისთვის ყურადღება მიექცია, რასაც გააზრებულად არ აკეთებდა ორი მიზეზის გამო. მისი აზრით, სამხატვრო აკადემიაში ხვდებოდნენ მხოლოდ ნაცნობობით და არ სურდა მას, დამმსხვრეოდა მომავალი, ამასთანავე ვერ აღიქვამდა ჩემს ნიჭს, რადგან ოჯახში სხვა არავინ ხატავდა.

- შემდგომში განვითარებულ მოვლენებზეც მომიყევი.

- მეექვსე კლასში ნამდვილად გამიმართლა. ერთხელ მაღალი სიცხის დროს დახატული ნაძვის ხეები ისე მოეწონა დედას, რომ გადაწყვიტა ხატვის წრეზე მევლო. დავიწყე პირველ სამხატვრო სკოლაში სიარული. იქ საკმაოდ წარმატებული ვიყავი და სწორედ იმ პერიოდში მივხვდი, აუცილებლად ხელოვნების სფეროს უნდა გავყოლოდი. მერვე კლასიდან უკვე მიზანმიმართულად მთელი აქცენტი ხატვაზე გადავიტანე. მშობლებს ჩემი ხელშეწყობის მეტი არაფერი დარჩენოდათ და შესაბამისი მომზადების შედეგად სამხატვრო აკადემიის მისაღები გამოცდებიც მაქსიმალური ქულებით ჩავაბარე. ჩემს მშობლებთან კომპრომისზე წასვლით, ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობის სანაცვლოდ საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინზე ჩავაბარე.

- გავიდა დრო და შენ ერთ მიზანზე დაიწყე ფიქრი...

- დიახ, აკადემიაში სწავლის პარალელურად აქტიურად დავდიოდი ხელოვნების სფეროს ყველა შესაძლო ღონისძიებებზე. მიღებული ინფორმაციით ვასკვნიდი, რომ ძალიან მიზიდავდა კონცეპტუალური ხელოვნება, რომელიც იმ დროის საქართველოსთვის საკმაოდ უცხო იყო და ჩემი, როგორც ხელოვანის, ამ მიმართულებით განვითარება – შეუძლებელი, რადგან საქართველოში გამოკვეთილად არავინ ჩანდა ამ სფეროში მოღვაწე. მქონდა დიდი სურვილი, თუნდაც ერთი წლით გერმანიაში მესწავლა.

- და აკადემიის დამთავრების შემდეგ ახალი პერსპექტივები გამოგიჩნდა?

- აკადემია დავამთავრე 22 წლის ასაკში და ერთ-ერთი ავეჯის საწარმოში ხანმოკლე წამუშავების შედეგად ავეჯის დიზაინერის გამოცდილება მივიღე, შემდგომ

კი ფეხსაცმლის დიზაინერის ადგილზე მიმიწვია სხვა კერძო საწარმომ. სწავლის დროს წარმოშობილი ეჭვები, რომ მხოლოდ ლამაზი ნივთების შექმნა არ დამაკმაყოფილებდა, გამართლდა და მივხვდი, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ახალი ცხოვრება უნდა მეცადა ახალი პერსპექტივებით. 2004 წლის 16 სექტემბერს მიუნხენის აეროპორტში აუ-პაირ ვიზით დავეშვი და ერთი რთული წელი ვიტვირთე, როგორც უკეთესი მომავლის ხარკი. ეს ჩემი რეინკარნაციის წლადაც შემიძლია დავასახელო. მშობლებისგან განებივრებულ ადამიანს რეალურ ცხოვრებაში მომიწია თავიდან დაბადება. ეს იყო დედისგან ჩემი შობის შემდეგ ხელახალი შობა.

- და შემდეგ ნელ-ნელა მწიფდება შენში მომავალი გეგმები და მათი ნაყოფი

- 2007 წელს აკადემიის ბიბლიოთეკაში შემთხვევით ქანდაკების პროფესორებსაც გადავხედე და ჩემდა გასაოცრად აღმოვაჩინე მაგდალენა ჯეტელოვა, რომლისნამუშევრებითსაქართველოშიყველაზემეტად ვიყავი მოხიბლული და ვერაფრით წარმოვიდგენდი თუ მოქანდაკეც იყო. ქანდაკება ჩემთვის კლასიკურ სკულპტურებთან ასოცირდებოდა. ორი აზრი არ არსებობდა, რომ მასთან უნდა მესწავლა. უბედნიერესი ვიყავი, როცა გამოცდებზე მიმიწვიეს და კიდევ უფრო ბედნიერი, დადებითი პასუხი რომ მოვიდა ჩარიცხვის შესახებ. მე მაგდალენას სტუდენტი გავხდი და ამ ფაქტს დღემდე ყველაზე მნიშვნელოვნად ვთვლი ჩემს ცხოვრებაში.

წელიწადზე მეტი დამჭირდა, დღევანდელი ჩემი შემოქმედების ენის საწყისი გრამატიკის ასათვისებლად, რადგან თბილისის სამხატვრო აკადემიაში რადიკალურად განსხვავებულ „ენას“ გვასწავლიდნენ, „ენაშ“ ისევ ხელოვნებით კომუნიკაციის ენას ვგულისხმობ. მოკლედ, ნელ-ნელა ავითვისე და უფრო და უფრო უკეთ მესმოდა თანამედროვე, ერთ დროს ასე უცხო ხელოვნება. დაიწყო გამოფენები. პირველი ნამუშევარი აკადემიის წლის გამოფენაზე წარვადგინე და დამთვალიერებლების დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს იყო მაგიდა ნაჭრისგან ელვა-შესაკრავებით,

რომელიც აკადემიის აუქციონზე გაიყიდა.

- შენი ბოლო ნამუშევარი „მაკოცე“ როგორ შეიქმნა და რა იდეას ატარებს?

- იდეები მხოლოდ ყოფითი პრობლემებისგან თავისუფალ გონებაზე მებადება. ეს ზოგჯერ ხანგრძლივი პროცესია, ხან კი წამიერი, თუმცა ყოველთვის ემყარება მუდმივ დაკვირვებას და ფიქრს ცხოვრებაზე და სხვადასხვა თემატიკაზე. არ შემიძლია ერთდროულად ვიფიქრო ყოფით პრობლემებზე და იმაზე, თუ რას გავიტან მომდევნო გამოფენაზე. ამიტომ ხშირად დილემის წინაშე ვდგები და თუ გამოფენისთვის ვაკეთებ არჩევანს, რის უფლებასაც თავს ყოველთვის ვერ ვაძლევ, მუდამ ბედნიერების შეგრძნებას მანიჭებს კიდევ ერთი ნამუშევრის შექმნა.

ამჯერადაც მთელი თვე ყველაფერი გვერდზე გადავდე და უამრავი ახალი იდეა ამომიტივტივდა, რომელთაგანაც გამოფენის გახსნამდე კვირანახევრით ადრე არცერთი არ იყო სრულყოფილი. აი, უკანასკნელმა იდეამ კი შუაღამით გამომაღვიძა და მაშინვე ჩავიწერე, რომ არ დამვიწყებოდა. დილას გადავხედე და დავრწმუნდი, რომ არაფრის შეცვლა არ იყო საჭირო. ერთი კვირის თავზე ნამუშევარი უკვე მზად მქონდა.

იდეა იყო, ხალხისთვის კითხვა დამესვა, თუ რას ნიშნავს მათთვის ხატზე მთხვევა? რას ეხება მათი ბაგეები ხატზე ამბორისას? სად არის ღმერთი? სად არის საზღვრები?

- თუ გაქვს მომავლის გეგმები?

- მომავლის მხოლოდ ოცნებები და მიზნებია, რომლისკენ სწრაფვისას მოულოდნელობებს აწყდები და, შესაბამისად, გეგმების დაწყობა ჩემთვის უცხო რამეა. ერთი რეცეპტი მაქვს: ადამიანმა ცხოვრებაში შემოთავაზებული შანსები ხელიდან არ უნდა გაუშვას.

- რამეს ხომ არ დაამატებდი?

- ბიბლიაში ბევრი სიბრძნე წერია და ხშირად მამხნევებს ქრისტეს სიტყვები, რომელსაც ერთ-ერთ თავის მომავალ მოსწავლეს ეუბნება, როცა იგი ყოფითი პრობლემების გამო ვერ მიჰყვება იესოს, რაზეც იესო მიუგებს: ან მიატოვე შვილი შენი, ცოლი შენი და გამომყევ მე, ან განაგრძე ჩვეული ცხოვრებაო. ხელოვან ხალხს უცნაურებს იმიტომ გვეძახიან, რომ სულიერი ფასეულობებისთვის მატერიალურს ვთმობთ. ხელოვნება კი, დამეთანხმებით, სულიერი ფასეულობაა.

ლორეტა გოლეთიანი

გერმანიის ქართული სათვისტომის 2011 წლის საუკეთესო სტუდენტი

გერმანიის ქართული სათვისტომო მიუნხენში უკვე მეექვსე წელია გერმანიაში წლის საუკეთესო ქართველი სტუდენტს გამოავლენს. წელს ეს წოდება და ფულადი ჯილდო, ბილეფელდის უნივერსიტეტის გერმანისტიკისა და მათემატიკის სპეციალობის, მეხუთე სემესტრის სტუდენტს – თათია ჯღარკავას ერგო. მას სიგელი წლის საუკეთესო სტუდენტის წოდებით და საჩუქარი მიუნხენში დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ შეხვედრაზე გადაეცა.

- თათია, მოდი ცოტა შორიდან დავიწყებ, როგორ მოხვდი გერმანიაში და რა გზა გაიარე სტუდენტობამდე?

- საქართველოში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანისტიკასა (მაჯორი) და სოციოლოგიაზე (მინორი) ვსწავლობდი. ორი კურსის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე ერთი წლით გერმანიაში წამოვსულიყავი, ენის უკეთესად დაუფლების მიზნით. მიმაჩნია, რომ რომელიმე ენის საფუძვლიანად შესასწავლად აუცილებელია, იმ ქვეყანაში პტაქტიკული გამოცდილების მიღება, სადაც ამ ენაზე საუბრობენ. გერმანიაში 2007 წლის აგვისტოს ბოლოს Au-Pair პროგრამით ჩამოვედი. ამ ერთი წლის განმავლობაში ხშირად ვესწრებოდი ლექციებს უნივერსიტეტში როგორც თავისუფალი მსმენელი. მაინტერესებდა, როგორ იყო აგებული აქაური განათლების სისტემა, რა მასალისა და სირთულეების გავლა უწევდათ აქ სტუდენტებს. დროთა განმავლობაში დავრწმუნდი, რომ გერმანიაში სწავლის გაგრძელება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში მქონდა სურვილი, მეცადა მაინც, შევძლებდი თუ არა უცხო ენაზე სწავლას. ჩავაბარე ენის გამოცდა და გავხდი სტუდენტი.

- როგორია გერმანული სტუდენტური ცხოვრება ქართული სტუდენტური ცხოვრებისგან განსხვავებით?

- ვერ ვიტყვი, რომ ადვილია, როცა უცხო ქვეყანაში სრულიად მარტო გიწევს იმ დაბრკოლებების გადალახვა, რაც სწავლასთან არის დაკავშირებული. პირიქით, ძალიან ძნელიცაა. ვინაიდან სწავლის დაფინანსება მარტო მიწევს, ვარ ძალიან დაკავებული, როგორც გონებრივად, ასევე ფიზიკურად. თუ საქართველოში მხოლოდ სწავლაზე ვიყავი კონცენტრირებული, აქ უკვე ყველა დეტალზე მარტო მიწევს ფიქრი. თუმცა ამასაც აქვს თავისი დადებითი მხარეები. რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყებ ადამიანი სრულიად დამოუკიდებელ ცხოვრებას, უფრო სწრაფად ყალიბდები დამოუკიდებელ პიროვნებად.

- რატომ გინდოდა გესწავლა გერმანიაში, გერმანისტიკას და მათემატიკას საქართველოშიც ხომ ისწავლიდი?

- ჩემი ამ გადაწყვეტილებით პირველ რიგში საკუთარ თავს მოვუწყვე გამოცდა. როგორც მოგეხსენებათ, გერმანია ძალიან ბიუროკრატიული ქვეყანაა. აქ დროის შეგძნებაც სხვანაირია, ყოველი წუთი გათვლილია. როცა ამ რეჟიმში პატარა ასაკში ერთვები, ეს უკვე დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებაა. აქ უკვე ჩემს თავს სხვადასხვა პერსპექტივიდან ვაკვირდები.

- კიდევ თუ შეიძინე გერმანიაში სხვა გამოცდილებაც, რასაც თვლი, რომ სამომავლოდ გამოიყენებ?

- რა თქმა უნდა. ადამიანს როცა ამდენი ბრძოლა გიწევს მიზნის მისაღწევად, ხდები უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი. უკეთესად ხარ მომზადებული იმისთვის, სად და რომელ სიტუაციაში როგორ მოიქცე. როცა საკუთარ თავზე თვითონ ხარ პასუხისმგებელი, უფრო თავდაჯერებული ხდები. ჩემი აზრით ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი ფაქტორებია, იმისათვის რომ მოგვიანებით წარმატებას მიაღწიო.

- რას აპირებ სწავლის დამთავრების შემდეგ?

- სწავლის დამთავრების შემდეგ მინდა მოვახდინო აქ შეძენილი ცოდნის პრაკტიკული გამოყენება, ჩავება პროფესიულ ცხოვრებაში.

- რას ნიშნავს შენთვის იყო გერმანიის ქართული სათვისტომოს მიერ გამოვლენილი წლის საუკეთესო ქართველი სტუდენტი გერმანიაში?

- მე ნამდვილად მეამაყება, რომ ამ წოდებას ვატარებ.

ეს რა თქმა უნდა გარკვეულ პასუხისმგებლობასთანაც არის დაკავშირებული. პირველ რიგში საკუთარ თავთან მაქვს პირობა დადებული, ვიყო ამ ტიტულის ღირსეული მატარებელი.

- რამდენად მოულოდნელი იყო შენთვის გამარჯვება ამ კონკურსში?

- სრულიად მოულოდნელი. ვინაიდან გერმანიაში ბევრი წარმატებული ქართველი სტუდენტია, ნამდვილად ვერ წარმომედგინა საკუთარი თავი წლის საუკეთესო ქართველი სტუდენტის აპმლუაში.

- რას უნდა ელოდეს საქართველო შენგან, პატრიოტს და პროფესიონალს, რომელიც მის საზღვებს გარეთ აპირებს კარიერის გაკეთებას, თუ რომელსაც სურვილი აქვს, ქვეყნის შენების მონაწილე მშენებლობის ადგილზე იყოს?

- ჩემი დიდი სურვილია, გერმანიაში შეძენილი გამოცდილება ჩემს ქვეყანას გავუზიარო და მოვახმარო. ვიმედოვნებ აქ მიღებული ცოდნით, მეც შევიტან ჩემს წვლილს ჩემი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში. ჩემი სამშობლო ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

- შენი სამომავლო გეგმები როგორია?

- ამ ეტაპზე ვმუშაობ საბაკალავრო ნაშრომზე. შემდეგი სემესტრიდან ვაპირებ მაგისტრატურაში, სავარაუდოდ „ბიზნესმათემატიკის" განხრით სწავლის გაგრძელებას, დანარჩენს კი მომავალი მიჩვენებს.

ელგუჯა ლაცაბიძე

თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მიუნხენში

„ოქროს კენტავრი" – „Goldener Kentaur", ამ სახელწოდებით 2007 და 2009 წლების შემდეგ წელს უკვე მესამედ, 26 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით, მიუნხენის ხელოვანთა სახლში (Münchner Künstlerhaus) ხელოვნების ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო რამდენიმე საინტერესო ღონისძიება. ერთ-ერთი და ძალიან წარმატებული მათ შორის სპექტაკლი „მაკბეტი" გახლდათ. ის ფესტივალზე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩამოყალიბებულმა თოჯინების თეატრმა წარმოადგინა. თოჯინების თეატრი მიუნხენის ხელოვანთა სახლის ფონდის ხელმძღვანელის, საქართველოს საპატიო კონსულის გერმანიაში, კლაუს ჰიპის ხელშეწყობით ვითარდება. თეატრი ბატონი კლაუს ჰიპის ბაბუის, იოზეფ ჰიპის სახელს ატარებს, რომელიც ცნობილი იყო მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოებით და საკონდიტრო საქმიანობით. ის გახლავთ ბავშვთა კვების საგვარეულო ბიზნესის დამფუძნებელი და ყველაფერთან ერთად თოჯინების თეატრის დიდი მოყვარული და მონაწილე.

ლევან ტუღუში, დასის წევრი, თეატრის მხატვრობის მე-4 კურსის სტუდენტი:

ცოტა ხნის წინ ჩვენი ლექტორის, გიგა ლაპიაშვილის ინიციატივით და კლაუს ჰიპის დიდი ხელშეწყობით ჩამოვაყალიბეთ თოჯინების თეატრი, რომელიც თეატრის მხატვრობის და ასევე აკადემიის სხვა სპეციალობის სტუდენტებისგან შედგება. ამჟამად დასში ვართ 13 წევრი. თეატრის არსებობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ის, რომ თეატრის მხატვრობის ყველა სტუდენტს, ვისაც ექნება შესაბამისი სურვილი, ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს თეატრის მუშაობაში, ამგვარად შეხება ჰქონდეს საკუთარ პროფესიასთან. ყველას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სცენის გაფორმებაში, თოჯინების და კოსტუმების გაკეთებაში, ასევე რეჟისურაში, განათებაში, მიზანსცენებში. დაახლოებით შვიდთვიანი სამუშაო პროცესის განმავლობაში ჩვენ თავად მოვამზადეთ სპექტაკლისთვის საჭირო ყველა დეტალი. საქართველოში უკვე გვქონდა რამდენიმე გამოსვლა სამხატვრო აკადემიასა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში, რამაც ასევე წარმატებით ჩაიარა.

„ოქროს კენტავრის" კულმინაციას წარმოადგენდა ფოტო-კონკურსი, რომელშიც 26 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. გამარჯვებული პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებისთვის დაწესებული იყო ფულადი ჯილდო 5.000, 3.000 და 2.000 ევროს ოდენობით. დაჯილდოების ცერემონია ხელოვანთა სახლის პრეზიდენტის, მაია გრასინგერის და კლაუს

ჰიპის სიტყვით გაიხსნა. ჟიურიმ გამოავლინა სამი გამარჯვებული, მათგან პირველი ადგილის და ოქროს კენტავრის მფლობელი გახდა ფრანგი ფოტოხელოვანი აქსელ ბრაუნი, მეორე ადგილი მიიღო პორტუგალიელმა მარიანა გომეს გონსალესმა, ხოლო მესამე ადგილი კი – ფინეთის წარმომადგენელმა კალე კატაილამ. საქართველოდან თავიანთი ნამუშევრებით დამთვალიერებლის წინაშე წარსდგა თბილისის სამხატვრო აკადემიის ოთხი სტუდენტი, სარეკლამო გრაფიკისა და პლაკატის დიზაინის სტუდენტები თამარ ბაქრაძე, ნესტან მამაცაშვილი, ანა მარცვალაძე და თამარ ნადარეიშვილი. ისინი მართალია გამარჯვებულთა შორის ვერ მოხვდნენ, მაგრამ ამას მათი დადებითი განწყობა ფესტივალზე და ფესტივალთან დაკავშირებით არ შეუცვლია.

ნესტან მამაცაშვილი, პლაკატის დიზაინის მე-4 კურსის სტუდენტი:

ფოტოგრაფია ჩემი პროფესია არ არის, თუმცა ამით თითქმის მთელი ცხოვრება ვარ დაკავებული. მე ის ძალიან მიყვარს და ჩემთვის მეორე პროფესიასავითაა. ამ კონკურსში მონაწილეობა ყველამ პირველად მივიღეთ, გარდა თამარ ნადარეიშვილისა, რომელიც ორი წლის წინაც იყო „ოქროს კენტავრის“ მონაწილე. აქ რომ ჩამოვსულიყავით, ჯერ საქართველოში ჩატარებულ კონკურსში გავედით, სადაც ყველა კონკურსანტმა ოთხ-ოთხი ნამუშევარი წარმოადგინა, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ მთლიანობაში ბევრი ნამუშევარი არ იყო წარმოდგენილი. შეგვარჩიეს ოთხი მონაწილე, რომლებმაც წარმოვადგინეთ საქართველო „ოქროს კენტავრზე“.

საქართველოშიც მიმიღია მონაწილეობა ფოტოკონკურსებში და თუმცა რამდენიმე გამარჯვებაც მოვიპოვე, საწუხაროდ მაინც ვფიქრობ, რომ ხშირ შემთხვევაში ჟიური მიკერძოებულია. მიუხედავად იმისა, რომ პლაკატის დიზაინზე ვსწავლობ, ვაპირებ ფოტოგაფიაში მუშაობის გაგრძელებას და საკუთარი თავის, როგორც ფოტოხელოვანის შემდგომ განვითარებას და დახვეწას. აუცილებლად ვფიქრობ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაზე. ვთვლი, რომ ახლა, როგორც ხელოვანი, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში ვარ, რაც ძალიან საინტერესოა ჩემთვის, რადგან მაქვს შესაძლებლობა, ჯერ კიდევ ბევრი რამ მოვსინჯო. ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო „ოქროს კენტავრის“ ფოტოკონკურსში მონაწილეობა. ჩვენს მთავარ მიზანს ამ კონკურსში საქართველოს წარმოჩენა წარმოდგენდა, რაც, ვფიქრობთ, რომ კარგად შევძელით.

სოფიო კუპრაშვილი

Konzerttournee der Tanz- und Singgruppe „Lomsia“

Das Ensemble „Lomsia“ aus der Schule Nr. 5 in Akhaltsikhe, Meskheti, wurde 1989 gegründet und besteht heute aus 60 Kindern und Jugendlichen, die unter der Leitung von Lia und Samson Menabdishvili georgische Tänze aufführen und somit alte Kultur und Traditionen Georgiens aufrecht erhalten. Genau diese haben 30 der Tänzerinnen und Tänzer Ende Juni 2011 auf ihrer Konzerttournee in Deutschland (Ingolstadt, Stuttgart, Garching, Eichstätt, Nürnberg und Starnberg) auf die Bühne gebracht und damit die Herzen der Zuschauer zum Erglühen gebracht. Die Tanzgruppe wurde von Livemusik (Trommel und Akkordeon) begleitet, was den wunderbaren Tänzen eine besondere Wirkung verliehen hat.

Die Begeisterung der Zuschauer war in jeder Stadt gewaltig. Zu dieser Begeisterung haben auch viele Sängerinnen unter Leitung von Marina Mchedlidze beigetragen. Nach dem offiziellen Programm, das ca. 1,5 Stunden dauerte, wurde so lange applaudiert, bis die Leiter des Ensembles erneut die Begleitmusik erklingen ließen. Diese Konzerte haben die nostalgischen Gefühle vieler Georgier eingedämmt und das Interesse deutscher Zuschauer für unser Land geweckt.

Bei der Organisation der Konzerte in den jeweiligen

Städten haben uns die örtlichen Vereine geholfen. In Ingolstadt war es das georgische Kammerorchester, in Stuttgart hat uns der georgische Kirchenverein unterstützt, das Konzert in Eichstätt wurde von Herrn Friedemann und in Starnberg Herr Schuchmann mit dem evangelischen Kirchenvereine geholfen. Wir möchten uns herzlich bedanken und hoffen, dass wir bald wieder ähnliche Herzzerreisende Veranstaltungen organisieren können.

Tinatin Datashvili

პირველი ქართული ტურნირი მინი-ფეხბურთში გერმანიაში

გერმანიის ქართული სათვისტომოს გარდამავალი თასი

გერმანიის ქართული სათვისტომოს ინიციატივით 15 მაისს ქალაქ შტუტგარტში გაიმართა პირველი ქართული ტურნირი მინი-ფეხბურთში. იგი მიზნად ისახავდა გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში მიმოფანტული ქართველების გაცნობასა და დაახლოება-დამეგობრებას.

წელს ტურნირმა მხოლოდ სამხრეთ გერმანიის ქართველობა მოიცვა, მასში დარეგისტრირდა და მონაწილეობა მიიღო შვიდმა ქართულმა გუნდმა.

მასპინძლები ტურნირში ორი გუნდით „ერთიანი საქართველო“ და შტუტგარტში მცხოვრები ქართველი მუსიკოსებით წარსდგნენ. ფრაიბურგიდან, კარლსრუედან და ტუბინგენიდან ჩამოსულ ქართველებს მალე მიუნხენისა და აუგსბურგის გუნდებიც შეუერთდა თავიანთი გულშემატკივრებით.

ორ მოედანზე გამართული რვა წუთიანი მატჩები პროფესიონალმა მსაჯებმა ჩაატარეს. 11 ტურის შემდეგ ნახევარფინალში შტუტგარტის (ერთიანი საქართველო), ფრაიბურგის, მიუნხენისა და აუგსბურგის გუნდები გავიდა. მესამე ადგილისათვის მიუნხენისა და აუგსბურგის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. თამაში აუგსბურგის უპირატესობით (2:9) დასრულდა. დაძაბული ფინალური მატჩი პირველი ადგილის მოსაპოვებლად ფრაიბურგსა და შტუტგარტის „ერთიანი საქართველოს“ შორის გაიმართა და შტუტგარტის სასარგებლოდ (4:7) დარულდა.

პირველ ადგილზე გასულ შტუტგარტის გუნდს გადაეცა გერმანიის ქართული სათვისტომოს გარდამავალი თასი, ტურნირის ყველა მონაწილე კი სამახსოვრო მედლით დაჯილდოვდა.

ტურნირში ყველაზე მეტი - 13 გოლი ფრაიბურგის მოთამაშემ შალვა დავითაიამ გაიტანა და ტურნირის „ბომბარდირად“ დასახელდა. მას ერთი გოლით ჩამორჩა აუგსბურგის გუნდის წარმომადგენელი ირაკლი მაღალაშვილი.

„ამ ტურნირის ორგანიზებისას, ჩვენი მთავარი მიზანი იყო არა გამარჯვებული გუნდის გამორკვევა, არამედ ერთმანეთის გაცნობა, გართობა და სასიამოვნო დღის და საღამოს გატარება. დღეს ჩვენ ყველანი გამარჯვებულები ვართ!

დაგეგმილიამსგავსიტურნირისყოველწლიურად ჩატარება და იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს სხვა ქართული გუნდებიც შემოგვიერთდებიან.“ - ამბობს ერთ-ერთი ორგანიზატორი, შტუტგარტის „ერთიანი საქართველოს“ მოთამაშე გიორგი უმიკაშვილი.

გუნდი „ერთიანი საქართველო”

მიუნხენისა და აუგსბურგის გუნდები

ქალაქ კარლსრუეს გუნდი

ქალაქ შტუტგარტის გუნდი

ქალაქ ტუბინგენის გუნდი

ჩვენ ტურნირზე ქალაქ ფრეიბურგიდან ჩამოვედით. ძალიან სასიხარულო იქნება, თუ ასეთი ტურნირი ყოველწლიურად ჩატარდება და ამ ყველაფერს ტრადიციული სახე მიეცემა. გვიხარია არა მარტო თამაში, არამედ ისიც, რომ საშუალება გვაქვს სხვა ქალაქში მცხოვრები ქართველებიც გავიცნოთ.

ირაკლი დვალი

არ ველოდით თუ ამხელა მასშტაბისა იქნებოდა ეს ტურნირი, ჩვენ რვაკაციანი გუნდით ჩამოვედითშტუტგარტში.აქ ძალიან კარგი ატმოსფერო და ბევრი კარგი, ლამაზი ქართველი დაგხვდა. დიდი სიამოვნებით კიდევ მივიღებთ ამ ტურნირში მონაწილეობას.

დიდი მადლობა ორგანიზატორებს, დიდი მადლობა ყველა მონაწილეს ასეთი კეთილი განწყობისათვის და ურთიერთპატივისცემისათვის, რაც დღეს აქ სუფევს.

დავით მაჩაიძე

ძალიან გაგვეხარდა რომ ასეთი ტურნირი დაიგეგმა ქართველებს შორის. სასიხარულოა, რომ ამდენი ხალხი მოვიდა. ჩვენი გუნდი აუგსბურგიდან ჩამოვიდა. კარგი იქნება თუ ეს ტურნირი, როგორც დაგეგმილია, ყოველ წელს ჩატარდება და ეს თასი გარდამავალი იქნება. რაც უფრო მეტი ქართველი ჩაერთვება ამ პროექტში, მით უფრო იმედისმომცემი იქნება ეს ჩვენთვის.

გიორგი დოლენჯაშვილი

სპორტი აერთიანებსო ნათვამია და იმედია, ეს ყოველწლიური ტურნირი თავის წვლილს შეიტანს გერმანიაში მცხოვრები ქართველების გაერთიანებაში. ალბათ, სიმბოლურია ისიც, რომ დღეს სწორედ „ერთიანმა საქართველომ“ გაიმარჯვა.

ნინო ხაბელაშვილი

ისე შეაშინეს ჩვენი ფეხბურთელები ხორვატიელმა ფანებმა, გოლიც ყი გაიცვნინეს

3 ივლისს ხორვატიის ქალაქ სპლიტში ხორვატიის და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს შორის საფეხბურთო შეხვედრა გაიმართა. თამაში პოლიუდის სტადიონზე ჩატარდა, სადაც 14 წლის განმავლობაში ხორვატიის ეროვნულ ნაკრებს არც ერთი თამაში არ ჰქონდა მოგებული. ქომაგთა კლუბმა „ივერიელმა“ ორგანიზება გაუკეთა, როგორც სპლიტში გამგზავრებას, ასევე თამაშზე დასასწრები ბილეთების შეძენას, რამაც სამოცამდე ქართული ფეხბურთის მოყვარულს შესაძლებლობა მისცა ქართული ფეხბურთლებისათვის ეგულშემატკივრა. იმის შესახებ კი, თუ რატომ და როგორ ჩავიდნენ ქართველები ხორვატიაში, გერმანიის ქართული სათვისტომოს ქართული სპორტის ქომაგთა კლუბ „ივერიელის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ზურაბ კოჭლამაზაშვილი გიამბობთ.

წავიდოდით თუ არა ფეხბურთზე დასასწრებად, ბოლო დღეებამდე გაურკვეველი იყო. ჯერ იყო და შაბათს დაგეგმილი თამაში პარასკევს გადაიტანეს, მერე ქალაქი ზაგრები სპლიტით შეცვალეს, ამ დღეს ზაგრებში რომის პაპის სტუმრობის გამო. გზა 400 კილომეტრით გაიზარდა და ვფიქრობდით, რომ ხალხი ასე შორს და თან შუა კვირაში არ წამოვიდოდა თამაშის საყურებლად. მაგრამ, გულშემატკივრების დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ მეორედ დავიწყეთ წასვლის ორგანიზება და 59 კაციანი ჯგუფით ავტობუსით ჩავედით სპლიტში. ბილეთების შესაძენად ფეხბურთის ფედერაციას დავუკავშირდი. ფედერაციის პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ დამაკავშირა თავის ასისტენტს, თათია ბურდულს, რომელიც შეგვპირდა, რომ ბილეთებს სტადიონზე დაგვახვედრებდა. უსაფრთხოების ზომების მისაღებად, საჭირო იყო ერთი სექტორის ღიად დატოვება ქართველი გულშემატკივრებისთვის. თუ ადგილობრივ ფედერაციას არ ეცოდინებოდა, რომ ჩავდიოდით, შეიძლება არც შევეშვით სტადიონზე.

მიუნხენიდან ავტობუსით 2 ივლისს ღამის თერთმეტის ნახევარზე გავედით. 940 კილომეტრის გავლის შემდეგ ზღვისპირა ქალაქ სპლიტში დილით ვიყავით, მთელი გზა სლოვენიასა და ხორვატიში წვიმდა. ამან ცოტა შეგვაშინა, რადგან გულშემატკივრების ნაწილი ასევე საბანაოდაც იყო წამოსული. ჯერ კიდევ გზაში ვიყავით, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხიდან დამირეკეს და ქომაგებთან ინტერვიუს ჩაწერა მთხოვეს. ფედერაციაც დიდ ყურადღებას იჩენდა ჩვენს მიმართ, რაც ჩვენს განწყობაზე დადებითად მოქმედებდა. სამწუხაროდ არასასიამოვნო ინციდენტებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ხორვატიელმა პოლიციელებმა რამდენიმე კილომეტრი გვატარეს ავტობუსის გასაჩერებლად და დიდი ხნის ფიქრის და დისკუსიის მერე, ისევ სტადიონთან დაგვაბრუნეს. ამით მხოლოდ დრო დაგვაკარგინეს, რომელიც ისედაც ძალიან ცოტა გვქონდა ქალაქის დასათვალიერებლად და პლიაჟზე გასასვლელად. ქალაქი კი მართლაც ლამაზი იყო, განსაკუთრებით კი რომის იმპერატორ დეოკლიტიანეს მიერ მეხუთე საუკუნეში აშენებული ციხე სიმაგრე მოგვეწონა. ხორვატი პოლიციელები გვირჩევდნენ, რომ ეროვნული ნაკრების მაისურებით არ გვევლო ქალაქში, რადგან სპლიტელი გულშემატკივრები თავისი აგრესიით გამოირჩევიანო. მართლაც ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, რომელიც მთავარ ნაკადს ჩამორჩა, ხორვატმა გულშემატკივრებმა დროშა წაართვეს. ამის ნიადაგზე ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რის შემდეგაც სპლიტის დატოვებამდე პოლიციის კორდონით გადავადგილდებოდით ჩვენივე უსაფრთხოების მიზნით.

ასე, პოლიციის თანხლებით შეგვიყვანეს სტადიონზეც. აქაც შეიმჩნეოდა ხორვატიელი ფანების ემოციები და მათი ორგანიზებულობა გულშემატკივრობის დროს. მღერიდნენ ჰიმნს, ყველაფერს, რაც პირზე მოადგებოდათ, საოცარი ატმოსფერო შექმნეს. ჩვენც, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად ვცდილობდით ჩვენი ხმა მიგვეწვდინა ქართველი ფეხბურთელებისთვის. განსაკუთრებით აგრესიული ხორვატი გულშემატკივრები პირველ ტაიმში სწორედ ჩვენი კარის უკან იდგნენ. უცებ დაიწყეს საოცარი ხმების გამოცემა და ჰაერში ფეიერვერკების სროლა, ჰაერი დამძიმდა სტადიონზე. ამის მერე არ გასულა ორი წუთი და ჩვენებმა ჩვენი



კარიდან წამოიღეს ბურთი და ხორვატიელებს გოლი გაუტანეს. მერე ჩვენ ვხალისობდით, ისე შეაშინეს ჩვენი ფეხბურთელები ხორვატიელმა ფანებმა, ქართველებს გოლიც კი გაატანინესო. ამ სტადიონზე ხორვატიის ეროვნულ ნაკრებს ჩვენამდე თამაში არ ჰქონდა მოგებული.

შეუძლებელია იმ ემოციების გადმოცემა, რაც იქ ჩვენ გვქონდა. დრო აღარ გადიოდა, წამებს ვითვლიდით და ვოცნებობდით უპირატესობის შენარჩუნებაზე. არ გვჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრების დამარცხება მათივე მოედანზე, რომ მივუახლოვდებოდით ჩვენს სანუკვარ ოცნებას, რასაც ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობა ჰქვია. ამის შემდეგ ხორვატებმა დაიწყეს ჩვენს ფეხბურთელებზე შეტევების გაძლიერება. უკვე, ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდით, წინ და უკან დავდიოდით, ძალიან დავიძაბეთ, დრო გადიოდა საშინლად ნელა. მეორე ტაიმი, უფრო მწვავე და მასირებული შეტევებით დაიწყო, ბოლოს იმდენად ინტენსიურად შემოუტიეს ხორვატიელებმა, რომ შევშინდით. არ წყდებოდა შეტევები, ბოლოს პირჯვარს ვიწერდი, ოღონდ თამაში კარგად დამთავრებულიყო. არ მეგონა სტადიონზე გოლის გამო პირჯვრის წერას თუ დავიწყებდი. 75-წუთზე გაგვიტანეს ერთი გოლი. ჩამოვყარეთ ყურები, ერთი წუთი არ იყო გასული, მეორე გოლიც მიაყოლეს. აი, აქ უკვე ძალიან დავიძაბეთ. ბოლო 15 წუთი ხმა აღარ გაგვიღია.

პოლიციამ ისევ გვალოდინა თამაშის შემდეგ, რომ სტადიონი დაცლილიყო. ისევ კორდონით გამოგვაცილეს ავტობუსამდე. თუმცა მაინც ძალიან კმაყოფილები წამოვედით, იმიტომ, რომ ამ დღეს ჩვენი ფეხბურთელების გვედზე ვიყავით. ჩვენს გარდა მათ გულშემატკივრები არც ჰყავდათ, ალბათ, რამდენიმე სპლიტში მცხოვრები ქართველი იყო სულ სტადიონზე და ფედერაციიდან ჩამოსული ქართველები და ყოფილი ფეხბურთელები.

ჩვენ კიდევ უფრო მეტი მონდომებით შევეცდებით, მთელი გერმანიის მასშტაბით, და ევროპის სხვა ქვეყნებიდანაც შემოვიერთოთ ქართული სპორტის გულშემატკივრები, რათა მომავალში უფრო ორგანიზებულად და დიდი მასშტაბით ვუგულშემატკივროდ ქართველ სპოტსმენებს ევროპაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ იგრძნონ მხარდაჭერა ჩვენგან. ჩვენი გვერდში დგომა, მათთვის სტიმულის მიმცემი იქნება და აუცილებლად მივაღწევთ წარმატებას სპორტში.

ჩვენ გვიყვარს ქართული სპორტი და მას გვერდში ვუდგევართ. ვიცით, რომ ჩვენი სპორტსმენები აუცილებლად გაძლიერდებიან და მიაღწევენ ჩვენთვის სასურველ შედეგებს. თქვენც შემოგვიერთდით და ერთად ვუქომაგოთ ქართულ სპორტს!

ქომაგთა კლუბი „ივერიელი“

გერმანიის ქართული სათვისტომო მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ქრისტეფორე კირკიტაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და მეგობრებს.

ჩვენს ჟურნალში მასზე მისი დიდი ხნის მეგობარი, ბატონი ვახტანგ ჩხაიძე საუბრობს.



ქრისტეფორე კირკიტაძის გახსენება

ძნელია მასთან გამომშვიდობება, არა მხოლოდ მისი ოჯახისათვის, არამედ ყველა მისი მეგობრისათვის, რადგანაც იგი ყველას უყვარდა, ვინც კი მას იცნობდა.

ის ძალიან კაცთმოყვარე, კეთილი და თვითონ საყვარელი კაცი იყო. მას მე პირველად 1948 წელს რეგენსბურგში შევხვდი. ჩემმა მეგობარმა ალიოშა ბაღათურიამ მოიყვანა ჩემთან და მკითხეს თუ ვინმეს ვიცნობდი, ვინც ქრისტეფორეს მანქანას იყიდდა. ამ ამბავს იგი ხშირად ჰყვებოდა ასე: დავაყენე ჩემი დანჯღრეული მანქანა მაღლა ფერდობზე, იმისათვის რომ სტარტზე დაგორებით დავხმარებოდი, რადგან ბატარეა სუსტი იყოო. მოიყვანა ვახტანგმა მისი ნაცნობი კაცი, მან შეხედა მანქანას და შევატყვე ძალიან არ მოეწონა. მაინც დაათვალიერა, გასინჯა და შიდაც ჩაჯდა. მერე გარეთ გადმოვიდა, მანქანას ხელი მოჰკიდა, შეაჯანჯღარა, მანქანა კინაღამ დაინგრა და მეც ლამის გული გამისკდა. ფასი რომ დავასახელე იმ კაცმა გაკვირვებით შემომხედა და ვახტანგმა ჩამიჩურჩულა, რომ მანქანაზე დიდი წარმოდგენა ნუ გექნებაო. ამ ამბავს იგი დიდი სიამოვნებით ჰყვებოდა ათეული წლების შემდეგაც. მოყოლის დროს ეშმაკურად იცინოდა და პირზე ხელს იფარებდა, როგორც მას სჩვეოდა.

კიდევ ერთი ეპიზოდი მახსენდება მანქანასთან დაკავშირებით: ბოლო ხანებში ორი დიდი მერსედესი ჰყავდა. ერთხელ ვუთხარი, მუხურაში რომ დარჩენილიყავი, ერთი კარგი ხარების ურემი გეყოლებოდა-მეთქი. ამასაც ძალიან ხშირად უყვებოდა მეგობრებს და ყველაზე მეტს თვითონ იცინოდა.

ჩემი მიუნხენში გადმოსვლის შემდეგ ოჯახებით ვმეგობრობდით ქართველების მთელი ჯგუფი.

ქრისტეფორე და მისი მეუღლე – რეზი და, რა თქმა უნდა, მათი ბიჭები – სევერიანე და პაჭუა ძალიან სტუმართმოყვარენი იყვნენ. ხშირად ჰყავდათ ბევრი სტუმარი, რომელთაც თავს ევლებოდნენ და ყოველმხრივ მათ სიამოვნებას ცდილობდნენ.

ქვემო ბავარიაში ქრისტეფორემ დიდი მამული შეიძინა. იქ გლეხის სახლი სასახლედ გადააკეთა, საქართველოდან ჩამოტანილი ქვევრებით მარანი მოაწყო და ადგილს „ახალი მუხურა" დაარქვა. იქ ხშირად იყო დიდი სტუმრობა. ხანდახან მთელი მიუნხენელი ქართველობა იქ იყრიდა თავს შაბათ-კვირას. სიუხვის, ხელგაშლილობის და კეთილგანწყობის გაცვლა-გამოცვლით ბედნიერების ატმოსფერო სუფევდა.

ქრისტეფორეს უსაზღვრო სიუხვის და გულკეთილობის ერთ-ერთი მაგალითს აქვე მოგახსენებთ. ერთხელ გამიყვანა თავის მამულში (5 ჰექტარი იყო) და მითხრა: ამოირჩიე ადგილი სადაც გინდა და რამდენიც გინდა და მეზობლად დამისახლდიო. მე საზღაური არაფერი მინდა და რაც შემიძლია ყველაფრით დაგემხარებიო.

მშობლების და სამშობლოს მოყვარული იყო ქრისტეფორე. ხშირად დადიოდა მის სოფელში, მუხურაში და ადგილზე სიტყვით და საქმით ეხმარებოდა ხალხს. ეკლესიაც კი აუშენა თავის სოფელს და ამით განსაკუთრებით ბაბუამისი გააბედნიერა, რომელიც კომუნისტების მიერ დანგრეულ ეკლესიას გლოვობდა.

იმ დროს „აღმოსავლეთ-დასავლეთით" მოგზაურობა ძალიან ძნელი საქმე იყო. უამრავი ხარჯების გარდა, უხეში და უზრდელი მესაზღვრე-მებაჟეების თვითნებური და ცინიკური მოპყრობა ძნელი ასატანი იყო. ყველაზე უარესი და საშიში კი ის იყო, რომ სახელმწიფოებრივი ორგანოები, აქაც და იქაც, ასეთ მოგზაურებს „შავი ჭირის გადამდებებად" მიიჩნევდნენ, როგორც ეს ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა გამოთქვა მაშინ.

ერთხელ მოჰყვა ქრისტეფორემ, მებაჟემ ქალის კაბა წამართვაო. უთქვამს – არაფერია, დედაჩემისთვის მინდოდა, მაგრამ დედაშენს მიეცი, ისიც ხომ ქართველი დედააო.

სტუმრების გამოსალმების „იმერულ რიტუალს" დიდი სიამოვნებით ასრულებდა ყოველთვის. „შენი ჭირიმე, რა გეჩქარება, დარჩი კიდევ ცოტა ხანს, დავჯდეთ, ვილაპარაკოთ, ნარდი გავაგოროთ, ჩვენ რა ვქნათ უთქვენოდ და ა.შ.". როგორც კი სტუმარი მოსახვევს გაშორდებოდა, ქრისტეფორე შვებით ამოისუნთქავდა: მადლობა ღმერთს, მოგვშორდა ის აბეზარაო. ამაზე ყველაზე მეტად გერმანელები იცინოდნენ.

ერთხელ მოვიდა ჩემთან კლინიკაში და მთხოვა მისთვის გამომეწერა წამლები, რომლებიც თვითონ მას არ სჭირდებოდა და თანაც დიდი რაოდენობით. მათი რეცეპტირება არ შეიძლებოდა, ამიტომ სპეციალური შეკვეთა მივეცი აფთიაქარს. არაფრით არ მითხრა თუ რისთვის უნდოდა ის წამლები, მერე გაიგებო მეუბნებოდა თავისი ეშმაკური ღიმილით, პირზე ხელმოფარებული. მერე შევიტყვე, რომ მაშინ პირველად წავიდა საქართველოში...

მოგონებები ამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას, მოგონებები უკვდავყოფს ჩვენთვის ქრისტეფორეს...

ვახტანგ ჩხაიძე

ყივჩაღის ჰაემანი

გიორგი ლეონიძე

...ერთი მეც გადავუქნიე,
წვერიმც ვუწვდინე მიწასა...
მუხრანული

ეურღანებიდან გნოლი გაფრინდა,
ეაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.

ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰევავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.

ხოხბობას გნახე,
მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაჰტრიანი!

მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ეივჩაღად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ვეღარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი,
ქართლის ხეობებს ასდის ნისლები...

მოდი!
გემახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი ჰაემანისა!..

გერმანიის ქართული სათვისტომოს ყოველთვიური გამოცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Zeitschrift des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

დამფუძნებელი-გამომცემელი:
გერმანიის ქართული სათვისტომო
სათვისტომოს თავმჯდომარე: ლერი დათაშვილი

სარედაქციო ჯგუფი:
ნინო ხაბელაშვილი (მთ. რედაქტორი)
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)
ნინო დალაქიშვილი
ნინო ცხომელიძე-დეპპერშმიდტი
ეკატერინე ცირიკაშვილი

ISSN 1868-6591

რედაქციის მისამართი:

Georgischer Verein in
Deutschland e.V.
c/o Leri Datashvili
Roemerhofweg 51c
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:
ტელ.: 0711/12 28 97 26
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de